MES 1 20 0001192687

11/12/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 01.12.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:03 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:39 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
13. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
16. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სხდომაზე დამსწრე მოწვეული საბჭოს წევრები:

1. ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
2. მაია გოგაშვილი - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
3. ლელა მასხულია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
4. ირმა ბურდულაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ლიცენზიებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
5. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
6. ნინო ჩიხლაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. ეკატერინე ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
8. ნინო მეგრელიშვილი - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი, მედიცინის დოქტორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი გიორგიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	გაგა გვენეტაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	გიორგი მუნჯიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
6	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ აწესებულებისდასახ ელება	სტატუსი	საკითხი
1.	საფფეთ ბაირაქთუთან	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	I
1.	თეა კბილცეცხლაშვილი		რექტორის მოადგილე	I
1.	ნინო ჯოჯუა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
1.	მაკა ბუღულაშვილი		სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
1.	გიორგი ტეფნაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II
1.	კახაბერ თავზარაშვილი		მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი	II
	როლანდ დუდუჩავა			II

1.		შპს საქართველოს უნივერსიტეტი	მათემატიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი	
1.	ემზარ ხმალაძე		მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	**II**
1.	სოსო გოგილიძე		ხარისხის სამსახურის უფროსი	**II**
1.	მარიამ სილაგავა		ხარისხის სამსახურის თანამშრომელი	**II**
1.	არჩილ ჯანგირაშვილი		აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	**II**
1.	შალვა პეტრიაშვილი	შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	**III**
1.	ამირან გამყრელიძე		უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრი	**III**
1.	ბეჟან წინამძღვრიშვილი		უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრი	**III**
1.	თემურ ხუროძე		კანცლერი	**III**
1.	ავთანდილ გაგნიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	**III**
1.	ნინო შარაშენიძე		დეკანი	**III**
1.	გია წილოსანი		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
1.	ლელა ვანიშვილი		სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი	**III**
1.	ქეთა ხუროძე		იურიდიული სამსახური	**III**
1.	მიხეილ თუთბერიძე		IT სამსახური	**III**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გიორგი ღაღანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო ლიპარტია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ბექა მარუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	დავით ცირამუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ანზორ ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მამუკა ნადარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	გიორგი ფოფხაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ივანა ობორნა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული საკითხი).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- ● არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული საკითხი).

1. პირველი საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№108 გადაწყვეტილება, 24.08.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13კმ, №2, 0131
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გიორგი გაგანიძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 6 ოქტომბერს „ონლაინ“ რეჟიმში, წინა დღეს, 5 ოქტომბერს ჩატარდა „ონლაინ“ შეხვედრა. ექსპერტებს უნივერსიტეტში დახვდათ ძალიან კარგი, მეგობრული, სამუშაო და კოლეგიალური გარემო. პრინციპულად კარგი იყო ის ფაქტი, რომ ექსპერტი (ნინო პატარაია), რომელიც იყო წინა აკრედიტაციის ვიზიტზე, ასევე შედიოდა ამჟამინდელ ექპერტთა ჯგუფშიც. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა უფრო ნათლად დაინახა, თუ როგორ ასრულებს აკრედიტაციის ვიზიტი თავის ძირითად დანიშნულებას. ამ შემთხვევაში, პროგრამა რეალურად არის გაუმჯობესებული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებაში ყველა სტანდარტთან არის მოთხოვნებთან შესაბამისობა, თუმცა ქვესტანდარტთან მიმართებაში გაიცა სამი რეკომენდაცია:

- ● უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს კარიერული განვითარების მიმართულებით დეტალური სამოქმედო გეგმა და ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს მისცეს სისტემური ხასიათი;
- ● მიზანშეწონილია, ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა;
- ● მიზანშეწონილია, ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.

მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები ხელს არ უშლის სწავლის შედეგების მიღწევას ან პროგრამის შემდგომ განვითარებას, ისინი ორიენტირებულია განვითარებაზე და განპირობებულია ორი მოსაზრებით, (1) ძალიან მაღალი კონკურენციაა კურსდამთავრებულებს შორის შრომით ბაზარზე, სადაც უკვე აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან მოხდეს კარირერული ხელშეწყობა და (2) გაზრდილი კონკურენციაა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებს შორის და ამდენად აუცილებელია ნათლად იყოს წარმოდგენილი ფინანსურ დოკუმენტში, რომ დაწესებულება ფარავს ხარჯებს. კერძოდ, ნათლად იყოს წარმოდგენილი საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტი მით უმეტეს, ფინანსისტები მუშაობენ და მათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ამის გაკეთება პრობლემას არ წარმოადგენს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გასცა რჩევებიც:

● სასურველი იქნებოდა უცხო ქვეყნების მოქალაქეების აქტიური მოზიდვის საკითხის გამოყოფა მიზნებში;

● სასურველია, არაპროფილური სტუდენტებისთვის დაემატოს შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების ქონის მოთხოვნა;

● პროგრამის მარტივად დაძლევის მიზნით, სასურველია, სხვა პროფილის სტუდენტებისთვის (ვისაც არ აქვს ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი სამუშაო გამოცდილება) შეთავაზებულ იქნას ინტენსიური მოსამზადებელი კურსი ბიზნესის ადმინისტრირებაში ან remedy საბაზისო კურსები (მარკეტინგში, ფინანსებში, მენეჯმენტში) კურიკულუმს მიღმა;

● სასურველია დაწესებულებამ გამუდმებით იზრუნოს პროგრამის უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფაზე;

● სტუდენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, სასურველია უსდ-მ გაზარდოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების ვადა 2 კალენდარული დღიდან 3 სამუშაო დღემდე;

● სასურველია, უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ შეიმუშავოს აკადემიური სტილი, რომელიც განსაზღვრავს ერთიან წესს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ყველა სამაგისტრო

ნაშრომი, რომელიც უნივერსიტეტში იქნება წარმოდგენილი მაგისტრის ხარისხის მოპოვების მიზნით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ყველა სამაგისტრო ნაშრომს და შინაარსობრივ ნაწილთან არანაირი შენიშვნა არ ჰქონდათ. მან განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომი ეს არის პირველი ნაბიჯი მეცნიერებისკენ, თუმცა სტილი იყო განსხვავებული, ამიტომ ექსპერტთა რჩევა იყო, რომ ყოფილიყო ერთიანი სტილი. მან გაიხსენა, რომ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტი წარადგინა დაწესებულებას არ ჰქონდა არანაირი შენიშვნები და იგი საბოლოო სახით წარედგინა ცენტრს.

16:10 საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ ირმა წერეთელი და თამარ ტუფინაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჯოჯუამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს განხორციელებული ვიზიტისათვის. მან განაცხადა, რომ ვიზიტი საქმიანი და თანამშრომლობითი იყო, ასევე მიმართული იყო პროგრამის განვითარებაზე. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებისთვის საყურადღებო და გასათვალისწინებელია რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტების მიერ იყო წარდგენილი, რომლებთან დაკავშირებითაც იგეგმება განხილვების მოწყობა და დაწესებულების წარმომადგენლები შეეცდებიან მაქსიმალურად გაითვალისწინონ პროგრამის განსახორციელებლად.
შეფასების გასაჩივრების თარიღთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო მასშტაბით განიხილავენ აღნიშნულ საკითხს, თუმცა სტუდენტებს საჩივრის დასაწერად არ სჭირდებათ უნივერსიტეტში მისვლა და მათ შეუძლიათ სახლიდანაც დაწერონ აღნიშნული განცხადება, შესაბამისად დროის მხრივ სტუდენტებს დაბრკოლება არ ექმნებათ, თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც განიხილავენ საკითხს, როგორც სტუდენტებთან, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გიორგი თურქია, მიესალმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულებას პროგრამაში აქვს საგანი „პროექტების მართვის გაძლიერებული კურსი“, რადგან მისი სათაური სპეციფიკურია, იგი დაინტერესდა შინაარსით, თუმცა სილაბუსი არ იყო ატვირთული არც ინგლისურ და არც ქართულ ვერსიაში, რაც მისი მოსაზრებით ტექნიკური პრობლემაა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რაში გამოიხატება „გაძლიერებული კურსი“, რადგან საათობრივი დატვირთვა/კრედიტები არ განსხვავდებოდა სხვა საგნებისგან, 6 კრედიტიანი საგანია და სათაური განსხვავებული აქვს - „გაძლიერებული კურსი“, მან იკითხა, რითია განსხვავებული სტანდარტული პროექტების მართვის კურსისგან. მან აღნიშნა, რომ ასევე არ იყო „ადამიანური რესურსების მართვის“ სილაბუსიც.
მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაკა ბუღულაშვილმა განაცხადა, რომ სააკრედიტაციო პაკეტში ყველა სილაბუსი იყო წარდგენილი, რადგან შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ცენტრი იმდენად მკაცრად ამოწმებს, დაწესებულების წარმომადგენლებს რომ გამოპარვოდათ ასე არ გაუშვებდნენ, ამიტომ შესაძლებელია ტექნიკური პრობლემა იყოს. საგნის დასახელებასთან დაკავშირებით, მისი განმარტებით, სათაურში „გაძლიერებული კურსით“ ხაზი გაუსვეს დონეს; რაც შედის საბაკალავრო პროგრამაში, გაცილებით უფრო გართულებულია და აყვანილია სამაგისტრო დონეზე, შესაბამისად საგნის დასახელებაში “პატარა განსხვავებით” გამოკვეთეს, რომ ეს არ არის საბაზისო კურსი, რომელიც ისწავლება საბაკალავრო პროგრამაში და შინაარსობრივადაც საგანში უფრო მეტად არის გათვალისწინებული თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვა პროექტების მართვაში,. მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროექტების მართვის კურსის სილაბუსების შედარებისას თვალსაჩინო იქნება განსხვავება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი გაგანიძემ განაცხადა, რომ ყველა სილაბუსი იყო წარდგენილი, რადგან ექსპერტთა ვიზიტის დროს არაერთხელ იქნა გადამოწმებული, ექსპერტებს ყველა სილაბუსი ჰქონდათ და საბჭოს წევრებამდე რატომ არ მივიდა მისთვის უცნობია. საბჭოს წევრის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ იგივე კითხვა გაუჩნდა ექსპერტთა ჯგუფსაც და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა საბჭოს წევრსაც იგივე უპასუხა, რაც ექსპერტთა ჯგუფს. გარდა ამისა, მათ შეადარეს ორი სილაბუსი - სამაგისტრო და საბაკალავრო, განსხვავება ცხადი და აშკარაა, რადგან სწავლის შედეგები სხვადასხვაა, თუმცა სასწავლო კურსს სახელი ერქმეოდა „პროექტების მართვა - დონე 2“ თუ სხვა რამ, პროგრამის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ასე გაემიჯნათ ორი დაახლოებით ერთი და იგივე სახელის მქონე, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებული კურსი ერთმანეთისგან, ამიტომ სასწავლო კურსების შემოწმების შემდეგ ამ კითხვაზე პასუხი მიიღეს.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა მადლობა გაადაუხადა ექსპერტებს დასკვნისთვის. პროგრამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ლოგიკურად არის აწყობილი, მოსწონს, როგორც თემატური განლაგება, ასევე სილაბუსები და ლიტერატურა; პროგრამის მიმართ მისი ზოგადი შეფასება პოზიტიურია.

მან განმარტა პროგრამის მესამე ქვემიზნის ძირითადი არსი, რომ პროგრამა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, კომპლექსურ გარემოში ორგანიზაციული მენეჯმენტის ფარგლებში, რაც თავისთავად კარგი მიზანია, თუმცა იგი დაინტერესდა, როგორ გადიან აღნიშნულ მიზანზე, შედეგებითა და წარმოდგენილი ჩარჩოთი; ეს არის 2.5 შედეგით გადიან, თუმცა შედეგი აღარ არის ზოგადი გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციული მენეჯმენტის კუთხით, არამედ წასულია სხვა მიმართულებით, თუმცა 2.5 შედეგზე სამი საგანი გადის: „მენეჯერული ეკონომიკა“, „სტრატეგიული მენეჯმენტი“ და „მარკეტინგული ქეისები და ანალიზი“, მისთვის მიზანი გადაწყვეტილების მიღება „decision science“ თემაა და „decision science“ არ არის სავალდებულო კურსებში, მხოლოდ არჩევითშია მსგავსი „გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემები“ და შედეგების რუკაშიც კი არ არის წარდგენილი. მისი მოსაზრებით, გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციული მენეჯმენტის კუთხით შესაძლებელია დაწესებულება პირდაპირ გავიდეს აღნიშნულ შედეგზე და დააკმაყოფილოს მიზანი, თუ „ decision science“ რაიმე მიმართულების კონცეფციას შემოიტანენ, ხოლო აქ უკვე „ექაუნთინგის“ და სამართლიანი გადაწყვეტილების კუთხით არის შედეგში გაწერილი, იგი დაინტერესდა აღნიშნული საკითხის განმარტებით.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაკა ბუღულაშვილმა, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს საინტერესო კითხვისათვის. მისი თქმით, ეს ერთ-ერთი ძლიერი შედეგია, რაც პროგრამის ხარისხს უნდა უზრუნველყოფდეს, რადგან მართვის პოზიციისა და მენეჯმენტის მთავარი როლი არის, რომ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, შესაბამისად სამაგისტრო დონეზე შედეგის გარეშე მიზანს ვერ დატოვებდნენ. აღნიშნული საგნები, რომლებითაც ფიქრობენ ამ შედეგის მიღწევას საგნის ავტორებთან დისკუსიებისა და „ბენჩმარკინგის“ ანალიზის შედეგად დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ გარემოს კომპლექსური ანალიზი, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებაში, ძირითადი საგანი იქნებოდა „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „მენეჯერული ეკონომიკა“, „მარკეტინგული ქეისები და ანალიზი“ და ახალ საგნად არჩევით საგნად, რადგან უნდოდათ არ გადაეტვირთათ ძირითადი საგნების ბლოკი, შეიტანეს „გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემები“, რათა ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი წამოეწიათ წინა პლანზე, რადგან XXI საუკუნეში შეუძლებელია კომპლექსური ცვლილებებისა და უზარმაზარი ინფორმაციის ეპოქაში, ტექნოლოგიებზე არ გაემახვილებინათ ყურადღება, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლების ხედვითა და ანალიზით ზემოაღნიშნული სამი საგანი, რომლებიც ძირითადი საგნების ბლოკშია, საკმარისად ჩათვალეს შედეგზე გასასვლელად, თუმცა პროგრამის გაუმჯობესება ამით არ წყდება და შეუძლიათ კიდევ გაითვალისწინონ პროგრამასთან დაკავშირებული რჩევები/რეკომენდაციები. მან განაცხადა, რომ

„გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემებს“ აუცილებლად ჩასვამდნენ ძირითადი საგნების ბლოკში, თუმცა ძალიან იტვირთებოდა პროგრამა ძირითადი საგნებით და ამიტომ არჩევით ბლოკში შემოიტანეს, თუმცა როდესაც პროგრამა ბოლომდე ჩაეშვება, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, დიდი ინტერესი იქნება აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით, რათა გაიძლიერონ გადაწყვეტილების მიღების უნარები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ სასწავლო კურსებში, რომლებიც ჩამოთვლილია სავალდებულო კურსებად და ამ შედეგზე გასასვლელად, ძირითადი სამუშაო არის არსებული რეალური სიტუაციების „ქეისების“ განხილვა და დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით ზუსტად ასეთი მუშაობის სტილი მისცემს სტუდენტებს საშუალებას გავიდნენ სწავლის შედეგებსა და აღნიშნულ მიზანზე, ამავე დროს დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს სხვადასხვა წარმატებული უნივერსიტეტის „ქეისები“, აქვს ოფიციალური/პირდაპირი წვდომა, მაგ., ჰარვარდის ბიზნეს სიმულაციებზე; სწორედ ამ სიმულაციებისა და „ქეისების“ დახმარებით გადიან სტუდენტები სწავლის შედეგებსა და მიზნებზე.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაკა ბუღულაშვილმა განაცხადა, რომ “ბიზნეს სიმულაციები” მათი პროგრამის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო და დატვირთული საგანია, სწორედ ამ სიმულაციების საშუალებით, რომელსაც არჩევითი საგნის სტატუსი აქვს, თუმცა ძალიან პოპულარულია სტუდენტებში, კიდევ ერთი საგნით უახლოვდება სტუდენტი იმას, რაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღებისთვის.

რექტორის მოადგილემ, თეა კბილცეცხლაშვილმა განაცხადა, რომ 7-8 წელია ეს საგანი პროგრამაში ზის და ირაკლი ღვთისიაშვილი სპეციალურად მიმართავს ფაკულტეტს; ისინი ყიდულობენ ინდივიდუალურად ყველა სტუდენტისათვის „ქეისს“ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგად ნათლად ჩანს, სტუდენტების კმაყოფილება და „decision making“ ჰარვარდის “ქეისებით” წინ წამოწეულია, რაც პროგრამის შედეგებზე ნათლად აისახება.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია, დაინტერესდა არჩევით საგანთან - „პრაქტიკა“, დაკავშირებით, თუ რა პრინციპით ხდება ხალხის დაყოფა, ვინც მუშაობს და ვინც არ მუშაობს, თუ ვის ეკუთვნის ეს არჩევითი კურსი და ვის არა.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის, მაკა ბუღულაშვილის თქმით, პროგრამაშიც და თვითშეფასების ანგარიშშიც ახსნილია, რომ ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო კომპონენტად არ შედის „პრაქტიკა“, ის სტუდენტები, ვისაც აქვს სამუშაო გამოცდილება მენეჯმენტის პროფილით თავისუფლდებიან ამ საგნისგან, დაწესებულებას აკრედიტაციის პროცესში ექსპერტებისგანაც ჰქონდათ ძალიან საინტერესო კითხვები, თუ როგორ ამოწმებდნენ ამას.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ სწორედ ეს აინტერესებდა, თუ როგორ ხდება რანჟირება.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს ორგანიზაციებთან, პრაქტიკის კომპონენტში აქტიურად არის ჩართული, როგორც უნივერსიტეტი, ასევე კარიერული დაგეგმვის სამსახური და პროგრამის კოორდინატორი, ასევე კომპანიის წარმომადგენელი და სამუშაოს დახასიათებიდან გამომდინარე და იმ პროფილიდან რასაც სტუდენტები აკეთებენ, იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას შეიძლება თუ არა კონკრეტული სტაჟირება ჩაითვალოს იმ სტაჟირებად, რომელიც გაიყვანს სასწავლო შედეგებზე, თუ დაწესებულებას ამის საფუძველი არ აქვს და ვერ შეთანხმდებიან, ისინი სტუდენტს ტვირთავენ ამ კომპონენტით, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კომპანიასთან მუშაობითა და მიღებული ინფორმაციის შედეგად თავისუფლად/თამამად ათავისუფლებენ კომპონენტისგან და იღებენ მხოლოდ ბიზნეს სიმულაციას.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაახლოებით 100 სამუშაო აღწერიდან პროცენტულად რამდენს უთვლიან და რამდენს არა.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს ძალიან ჰარმონიული პროცესია, რადგან მენეჯმენტის პროგრამაზე სტუდენტები გარკვეული ხედვებით მიდიან, შესაბამისად მათ აქვთ გამოცდილება, რომელიც სჭირდება მენეჯერს და ირჩევენ სამაგისტრო პროგრამას „მენეჯმენტს“, რადგან გამოცდილებიდან გამომდინარე სჭირდებათ მეტი ცოდნა, შესაბამისად 50%-ზე მეტს უთვლიან იმ სტაჟირებას, საიდანაც მოდიან, ისევ სტუდენტების ჩამოყალიბებული ხედვიდან გამომდინარე, რადგან თუ არ მუშაობს მენეჯმენტის მიმართულებით სამაგისტრო პროგრამა არ არის საჭირო, შესაბამისად ვინც აბარებს ძალიან ახლოს არიან აღნიშნულ სფეროსთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:27
დასრულების დრო: 16:31

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
● უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს კარიერული განვითარების მიმართულებით დეტალური სამოქმედო გეგმა და ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს მისცეს სისტემური ხასიათი;
● მიზანშეწონილია, ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა.
● მიზანშეწონილია, ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77ა, 0171
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ანზორ ბერიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დასკვნა წარდგენილია, პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, ვიზიტი ნაწილობრივ განხორციელდა ადგილზე ვიზიტით, ნაწილობრივ კი „ონლაინ“ რეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარდგენილ დოკუმენტაციას, ინფრასტრუქტურას და შესაბამისად ასახა დასკვნაში. მან ისაუბრა საუკეთესო პრაქტიკის შესახებ; მათთვის სასიამოვნოა უნივერსიტეტის დამოკიდებულება, რომ ფუნდამენტური მიმართულებით განვითარდეს კვლევები და შესაბამისად უნივერსიტეტში მათემატიკის დეპარტამენტთან ერთად ფუნქციონირებს მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სამეცნიერო-კვლევების წახალისება; ეს არის ძალიან პოზიტიური, განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტის დამოკიდებულება, როდესაც ხელს უწყობს ფუნდამენტური მიმართულების განვითარებას. უნივერსიტეტში მოქმედებს საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ მანამდე არსებობდა გამოყენებითი მეცნიერების მიმართულებით პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მოდული იყო "გამოყენებითი მათემატიკა" და შესაბამისად ამ პროგრამის ბაზაზე ახლა იქმნება სამაგისტრო პროგრამა „წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა".
ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან იყო პოზიტიური დამოკიდებულება, შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე გასცეს რეკომენდაცია, თუმცა თვლიან, რომ ეს არ არის მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის პრობლემა და იგი არის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, გასცეს შემდეგი რეკომენდაცია:

- ● რეკომენდირებულია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნული, სადაც საუბარი არ არის თითოეული სასწავლო კურსის შეფასებაზე, რადგან ამის გამოცდილებაც არის და პრაქტიკაც, საუბარია პროგრამის შეფასებაზე, მის მონიტორინგსა და მის გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტს აქვს ზოგადი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სხვა პროგრამების შეფასება ხდება, ბუნებრივია აღნიშნული პროგრამა ახალია და აქ არ იქნებოდა, სპეციფიკური საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწაზე და უკეთ იყოს წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელი, გიორგი ტეფნაძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან რეკომენდაციასთან დაკავშიებით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და ჰკითხა - ნახა თუ არა დაწესებულების მიერ წარდგენილი სწავლების რუკა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ანზორ ბერიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილია, ზოგადად ხდება საუნივერსიტეტო მასშტაბით, სამომავლოდ უნდა გამახვილდეს ყურადღება და დაიხვეწოს პროგრამის შეფასება.
პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. მან განაცხადა, რომ გათვალისწინებული იქნება და დააზუსტა ეთანხმება თუ არა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა და აღნიშნა, რომ დასკვნაშიც არის ასახული.

16:40 საათზე საბჭოს შემოუერთდა გურანდა ჭელიძე.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სწავლების რუკა წარდგენილია და მომავალში კიდევ უფრო დახვეწენ, როდესაც პროგრამა ამუშავდება; სტუდენტებთან მუშაობის პროცესში ბევრ რამეს დაინახავენ. რჩევებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საუბარი იყო მემორანდუმებსა და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობაზე, მისი თქმით, დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა რამდენიმე მემორანდუმი, ისინი აპირებენ უფრო მეტის გაკეთებას, მაგ., მემორანდუმი არსებობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გიორგი თუთბერიძისთვის, ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტთან და იგივე უნივერსიტეტთან მუშაობის პროცესშია მემორანდუმი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, რომ სამაგისტრო პროგრამას გაცვლითი პროგრამა ჰქონდეს, რომ სადოქტორო პროგრამაზე უფრო დაახლოებული იქნება თანამშრომლობა, ქართველი და უცხოელი ხელმძღვანელები საერთო სტუდენტს მაგისტრატურიდანვე მისცემენ იმ საჭირო განათლებას, რომელიც დოქტორანტურაში ძალიან გამოადგება, ამიტომ პირდაპირი ინტერესიცაა, აღნიშნული პროგრამის გარეშეც, რომ ეს შეძლონ. არქტიკული უნივერსიტეტიდან უკვე გამოგზავნილია ტექსტი, დაწესებულებამ შეთანხმებას მიაღწია და საჭიროა რექტორების ხელმოწერები, თუმცა პანდემიამ დააბრკოლა ეს პროცესი და პროგრამის ამოქმედებამდე აუცილებლად დასრულდება. ასევე აღსანიშნავია, რომ დოქტორანტის შვედი ხელმძღვანელი ორ უნივერსიტეტში ასწავლის და მის ერთ-ერთ უნივერსიტეტშიც აუცილებლად გაკეთდება

მემორანდუმი. მათ შეთანხმება აქვთ ასევე გერმანიასთანაც, ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან საუბარია მემორანდუმზე, რაც ნიშნავს, რომ წარდგენილ მემორანდუმებს კიდევ დაემატება, თან კოლეგებთან აფორმებენ, რომლებიც მათ თემატიკასთან ახლოს არიან, რომ მემორანდუმი-მემორანდუმისთვის არ იყოს, არამედ დაიდოს რეალური შედეგები, სამაგისტრო პროგრამით დაიწყოს და დამთავრდეს დოქტორანტებით, რომლებიც საერთო პროგრამის ფარგლებში დაიცავენ დისერტაციას. ეს არის მათი ამბიცია და მაგისტრატურის საფეხური დიდ გავლენას მოახდენს ამაზე, რომ ორივე ხელმძღვანელის მიმართულება აითვისოს დოქტორანტმა, რომელსაც გააგზავნიან. აღნიშნული მემორანდუმები ძალიან მალე დასრულდება და ნაწილი უკვე წარდგენილი იყო.
მეორე რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა მათემატიკური სტატისტიკის გაძლიერებას გამოყენებითი ნაწილით, მან განაცხადა, რომ მათ რაც მოახერხეს, პროგრამა სილაბუსზე და პროგრამის ამოქმედებისას აუცილებლად იქნება მზად, მით უმეტეს სტატისტიკის დეპარტამენტიდან გაცემულ რეკომენდაციებშიც იყო, რომ SPSS ისწავლებოდეს პროგრამით, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მათთვის, ასევე დასაქმებისთვისაც და ესეც აუცილებლად მოგვარდება.
მისი თქმით ძალიან კარგი რჩევა იყო, რომ სტუდენტს ერთი სემესტრი კი არ ჰქონდეს სამაგისტრო ნაშრომზე სამუშაოდ, არამედ ცოტა მეტი დრო ჰქონდეს, რადგან უნდა გაერკვეს თემატიკაში, თვითონაც უნდა შეძლოს, რომ გააკეთოს, რასაც სჭირდება დრო, საიდანაც რამდენიმე გამოსალი შეიძლება მოიძებნოს. პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ რაც უფრო მეტი დრო ექნება სტუდენტს ნაშრომზე სამუშაოდ, მით უფრო ხარისხიანი შედეგი იქნება მიღწეული, მით უმეტეს თუ სტუდენტი დოქტორანტურაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. გამოსავალი მდგომარეობას იმაში, რომ ძირითადი პერსონალი ჩარიცხვის შემდეგ ხვდება სტუდენტებს და აცნობენ მათ სამაგისტრო მიმართულებებს, ამ დროს შესაძლებელია სტუდენტს არ ჰქონდეს საკმარისი ცოდნა, შემდეგ პირველ-მეორე სემესტრში გასავლელი ექნებათ სავალდებულო საგნები ყოველ ლექტორთან, რომლებიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იმუშავებენ სტუდენტებთან და სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ გემოვნება, რამდენად სასურველია ესა თუ ის ლექტორი, რომ მათი ხელმძღვანელი იყოს და ა.შ. მეორე წლის დასაწყისისთვის ჩამოყალიბებული იქნება, ეცოდინება ლექტორების მიმართულებები, შესაბამისად დაუკავშირდება მას, მესამე სემესტრში ყველა ლექტორს აქვს არჩევითი საგნები და სტუდენტს შეუძლია აირჩიოს იმ მიმართულების საგანი, რა მიმართულებითაც სამაგისტროს დაცვას აპირებს. ყოველ საგანში აქვთ პრეზენტაცია, რომელიც 9 ქულით ფასდება და ხელმძღვანელს შეუძლია სამაგისტროსთან დაკავშირებული თემატიკის შესწავლა მოსთხოვოს, რომელიც პრეზენტაციის ფარგლებში უნდა წარადგინოს, რაც იწყება მესამე სემესტრის შუალედურიდან, ფაქტობრივად, სტუდენტს შეუძლია მოამზადოს პრეზენტაცია და განავითაროს ამ მიმართულებით თავისი ცოდნა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, თუმცა მესამე სემესტრში შეუძლია დაიწყოს მუშაობა მონათესავე საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების პრიორიტეტია სტუდენტები/დოქტორანტები ჩართულნი იყვნენ გრანტებში. სამაგისტრო საფეხურზე არსებობს მაგისტრატურის გრანტები, რომლისთვისაც მესამე სემესტრში ხდება საპროექტო წინადადების ატვირთვა, თუ სტუდენტს უკვე ჩამოყალიბებული აქვს გემოვნება, შეუძლია აირჩიოს ხელმძღვანელი და საპროექტო წინადადება მოამზადოს თავის მომავალ ხელმძღვანელთან ერთად, რაც ითვალისწინებს იმას, რომ იგი მომავალ სამაგისტრო თემატიკაში ერკვევა, რადგან ხელმძღვანელი არ დაუწერს და იმ თემატიკას, შედეგებს, რომლებიც უკვე მიღებულია - გაეცნობა, რომ საპროექტო წინადადება სრულფასოვნად წარადგინოს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, დაწესებულების ინტერესიცაა, რომ რაც შეიძლება მეტი ასეთი გრანტი მოიპოვოს, ესეც ერთ-ერთი ძალიან კარგი შესაძლებლობაა, რომ სტუდენტებმა მეორე წლიდანვე დაიწყონ თემატიკაში გარკვევა, რომელიც ბოლოს სამაგისტრო ნაშრომით დასრულდება. მისი მოსაზრებით, ეს ორი გეგმა ძალიან რეალისტურია და დაწესებულების წარმომადგენლები აქტიურად იმუშავებენ, რაც საბოლოო შედეგსაც გამოიღებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ, პროგრამის ხელმძღვანელთან დააზუსტა, თუ რამ განაპირობა პროგრამის სახელწოდება „წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა“, რას ემსახურება იგი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ტეფნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს არ უნდოდათ პროგრამისთვის მშრალად, „მათემატიკა“ დაერქმიათ, რაც სტუდენტს შეუქმნიდა წარმოდგენას, რომ თეორიულ ცოდნას მიიღებს მარტო და დაწესებულებას არ ჰყავს გამოყენებითი კუთხით არ სპეციალისტები, ამიტომ სათაურშივე გამოაჩინეს, რომ თეორიული კვლევით ვინც არ არის დაინტერესებული, სათაურმა უბიძგოს პროგრამაში ჩახედვისკენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სტუდენტი პროგრამებს ეცნობა და სავალდებულო/არჩევით საგნებში ამის შესაძლებლობა თანაბრად ჩანს, რომ არის გამოყენებითი/თეორიული საგნები.
საბჭოს წევრი, რომეო გალდავა დაინტერესდა, თუ ფიქრობენ პროექტში/სამაგისტრო ნაშრომში მოდელირებებზე, რადგან დაპროგრამებისა და ინფორმაციული მიმართულების ბევრი საგანი აქვთ. მისი მოსაზრებით, რომ ყოფილიყო სავალდებულო კურსებში მოდელირების საკითხები მათემატიკურ სხვადასხვა მიმართულებებში/დარგებში, სოციალურ მიმართულებებში, მეცნიერების დარგებში, ალბათ უფრო წაადგებოდა პროგრამას, ასეთი საგნები თავიდანვე სავალდებულო ბლოკში, რომ ჩაესვათ; მოდელირება უნდა მოხდეს რაღაც პროცესების, თუ იმ ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. პროგრამაში არის გამოყენებითი სტატისტიკა წარმოდგენილი, მაგრამ თუ ამ მიმართულების სასწავლო კურსები დაემატებოდა პროგრამის განვითარებისთვის, სამაგისტრო ნაშრომების შექმნითვის, საინტერესო იქნებოდა.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევითაც დადასტურდა სტატისტიკის მნიშვნელოვნება, შესაძლებელია იმ კომპანიებს ვერ მიმართეს და შესაბამისად რეკომენდაციები ამ მიმართულებით არ ჰქონიათ, თუმცა მათი კვლევის საფუძველზე ეს მიმართულება სტატისტიკა და ა.შ. უფრო რეალისტური გამოდგა, დასაქმების მხრივაც, ეს სტუდენტები ყველა მეცნიერებაში ვერ წავა და არ სურთ „ჰაერში გამოკიდონ“, მით უმეტეს პროგრამირების საგნები ძალიან ეხმარება დასაქმების მხრივ.
მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი, კახაბერ თავზარაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. საგნების დამატებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულება განწყობილია მომავალში პროგრამის განსავითარებლად და საგნების დასამატებლად, როგორც არჩევითი, ასევე სავალდებულო საგნების ბლოკში. პროგრამა წლების განმავლობაში განიცდის მოდიფიკაციას, მდიდრდება და შეიცვლება. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე საწყის ეტაპზე არ ექნება დიდი მიღება, აპირებენ მიიღონ 6-7 სტუდენტი, უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მიიღონ 10 სტუდენტი, რადგან უნივერსიტეტის ამჟამინდელი რესურსი ამ რაოდენობისთვის იქნება საკმარისი. მათი მთავარი აქცენტია, რომ ამ სტუდენტებზე დახარჯონ რესურსი, რათა შექმნან კარგი სპეციალისტები და სამომავლო კადრი გაზარდონ უნივერსიტეტისთვის. თუ ეს პროგრამა იქნება უფრო პოპულარული და მეტი სტუდენტი მივა, მათ მოუწევთ საგნებისა და პროფესორების დამატება, რათა სტუდენტებს დისციპლინების უფრო ფართო სპექტრი შესთავაზონ.
მათემატიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, როლანდ დუდუჩავამ განაცხადა, რომ მოდელირება ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა, მაგრამ დღესდღეობით ამაზე დიდი მოთხოვნა არ არის საქართველოში, რადგან გამოყენებითი მათემატიკა მსხვილ საწარმოებში მაინცდამაინც განვითარებული არ არის, თუმცა იმ შემთხვევაში თუ შეიქმნება მოთხოვნა და ეყოლებათ კონტიგენტი, გარკვეული დონით, მოდელირება საგნებში ჩადებული აქვთ, დიფერენციალურ განტოლებებში, ინტეგრირებულ განტოლებებში და ა.შ. მოდელირება ყოველთვის განიხილება, შესაბამისად თუ საჭირო იქნება საგნის დამატება არის ძალიან მარტივი. დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, პროგრამა უნდა იყოს ცოცხალი და მუდამ განვითარებადი.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი მიესალმა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა რომ აქვს 3 კითხვა:
პირველი საკითხი ეხება იმ ფაქტს, რომ თვითშეფასების ანგარიშში არ იყო მითითებული რომ პროგრამა ახალია, იგივე პროგრამა აღნიშნულ საბჭოზე გამოვიდა საბაკალავრო სახით და აინტერესებს მოლოდინები და საფუძველი, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები იქნებიან ძირითადად ის კატეგორია, რომელიც სამაგისტროზე გააგრძელებს და დაწესებულება სთავაზობს თუ არა სადოქტორო პროგრამას, რომ ციკლი შეიკრას.
მეორე საკითხი ეხება სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო პროგრამაში, ხომ არ აჯობებდა გაეწერათ უშუალოდ საკვალიფიკაციო როლური ჩარჩოს სამი კომპეტენციის მიხედვით, იქ ჩაშლილია და სილაბუსებშიც ასეა, ნორმალურად არის ყველაფერი წარმოდგენილი, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში კარგი იქნებოდა რომ გათვალისწინებული ყოფილიყო.
მესამე საკითხი ეხება კონკრეტულ სილაბუსს, ამ შემთხვევაში საგანს „პროგრამული პაკეტები მათემატიკაში (MATLAB)“, წარდგენილია სილაბუსი, რომლის შეფასების სისტემა არის შემდეგნაირი: პრეზენტაცია და საკონტროლო წერა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, უშუალოდ სადაც მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტა ხდება კომპიუტერულად, რა სახის პრეზენტაცია მზადდება და რას შეიცავს პრეზენტაცია, ხდება მაგალითების გამოყვანა და ეს ფასდება, თუ რა ფორმის არის საკონტროლო წერა.
პროგრამის ხელმძღვანელმა საბჭოს წევრის მიერ დასმულ პირველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სწორედ ეს არის მათი მიზანი, რომ სამეცნიერო კომპონენტი გაამლიერონ და რაც შეიძლება მეტი სტუდენტი დააინტერესონ, სამაგისტრო პროგრამა სადოქტორო პროგრამისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი უნდა იყოს, დაწესებულებას სადოქტორო პროგრამა აქვს უკვე აკრედიტებული.
მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სადოქტორო საფეხურზე უკვე აქვთ აკრედიტაცია მიღებული და სამივე საფეხურს სთავაზობენ სტუდენტებს, ამასთანავე „მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამა ახალია, მაგრამ მისი წინამორბედი იყო „გამოყენებითი მეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამა, რომელშიც მათემატიკის ნაწილიც შედიოდა და იქ ჰყავთ, როგორც აქტიური სტუდენტი, ასევე კურსდამთავრებულები და ეს არის მოდიფიცირებული/ახალი ვერსია და წარმოდგენილია, როგორც ახალი სამაგისტრო პროგრამა.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია.
მათემატიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ მათ საბაკალავრო პროგრამიდან სამაგისტრო პროგრამაზე რამდენიმე ბავშვი სწავლობს და სადოქტორო პროგრამაზეც ჰყავთ თავისი კურსდამთავრებული, რომელმაც დაამთავრა ჯერ ბაკალავრიატი, შემდეგ მაგისტრატურა და ახლა დოქტორანტურაში აქვს ჩაბარებული, თუმცა დოქტორანტურა ძირითადად შევსებული აქვთ გარედან. ამჯერად, პროგრამაზე ჰყავთ ხუთი დოქტორანტი, რომლებიდანაც ოთხი გარედან არის მისული, ახლა ემატება კიდევ ორი დოქტორანტი, რომლებმაც უკვე ჩააბარეს გამოცდები და მალე ჩაირიცხებიან. მან განმარტა, რომ მათთან ბაკალავრიატი სუსტია, რადგან მათთან სწავლა ფასიანია და სახელმწფო უნივერისტეტებში უფასო.
პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ ეს პროგრამის სისუსტე არ არის, დაწესებულებას არ აქვს პირობები იმისთვის, რომ კონკურენტუნარიანი იყოს.
მათემატიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კონკურენტუნარიანობისთვის კარგი იქნებოდა უფასო გამხდარიყო სტუდენტებისთვის კერძო უნივერსიტეტებში, რადგან ეს სახელმწიფო უნივერსიტეტიბისთვისაც მოტივაცია იქნებოდა თუ კონკურენცია შეიქმნებოდა.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება სახელმწიფო გარკვეულ ქვოტას თუ მიანიჭებს კერძო უნივერსიტეტებს, თუმცა ეს უტოპიური ოცნებაა.
საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ესაუბრათ მის მიერ დასმულ მეორე კითხვაზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა სთხოვა შეეხსენებინა, მეორე საკითხი.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ეს იყო პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რადგან გაწერილია და მთლიანად არის ჩამოწერილი ყველა შედეგი, კარგი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული იყოს ბლუმის ტაქსონომიის ზმნებით აწყობილი სწავლის შედეგები, ეს არის გაწერილი აკრედიტაციის სახელმძღვანელოშიც და დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ უფიქრიათ ამ საკითხზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ თუკი რეკომენდაციის სახით დაწერენ აუცილებლად გაითვალისწინებენ.
საბჭოს წევრმა სთხოვა ეპასუხათ კითხვაზე MATLAB-ის შეფასების ნაწილთან დაკავშირებით, უბრალოდ, მისი ინტერესის გამო.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამ საგნის ლექტორი არ ესწრებოდა სხდომას, მაგრამ პრეზენტაცია, შეიძლება მომზადდეს, კოდი დაწეროს MATLAB-ში, რაღაც შეისწავლოს, რაღაც რიცხვითი მიახლოება გააკეთოს, იგივე ლექტორი ასწავლის საგანს „რიცხვითი მეთოდები“ და პრეზენტაციაზე შესაძლებელია „სლაიდებით“ წარმოადგინოს.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ აინტერესებდა რა იგულისხმებოდა პრეზენტაციაში.
მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ პრეზენტაციაში იგულისხმება ვერბალური ნაწილი, რომ სტუდენტს ჰქონდეს თავისი კვლევებისა და შემოქმედების წარდგენის უნარი, Powerpoint-ით ან უბრალოდ, კოდი აჩვენოს და პროგრამის დემონსტრირებით, სემესტრის განმავლობაში მიიღებს კონკრეტულ დავალებას, შეისწავლის/მოამზადებს ამ საკითხს MATLAB-ის საშუალებით, გადაწყვეტს და მოახდენს ამის დემონსტრირებას.
საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ იგულისხმებოდა მიმდინარე შეფასებაში და იყო თუ არა დასკვნითი გამოცდაც მსგავსი.
მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ დასკვნითი გამოცდაც მსგავსად იქნება, რა თქმა უნდა იქ იქნება თეორიული კითხვებიც, „ქეისები“, რომლებზეც სტუდენტმა პასუხი უნდა გასცეს, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:12

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:
● რეკომენდირებულია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნული.
● სასურველია პროგრამის მიზნებში აისახოს ინტერნაციონალიზაციის საკითხები სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობის შექმნის შესახებ.

- სასურველია კურსში MATHM1104 (მათემატიკური სტატისტიკა) გაძლიერდეს გამოყენებითი ნაწილი.

- სასურველია მეორე სასწავლო წლის დაწყებისთანავე სტუდენტები მაქსიმალურად ჩართული იყვნენ სამაგისტრო ნაშრომების შერჩევის პროცესში

● მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგები გაიწეროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამი კომპეტენციის შესაბამისად „ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ ბლუმის ტაქსონომიის მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

3. მესამე საკითხი: შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული საკითხი);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0105, ვახტანგ გორგასლის ქ N9

12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ივანა ობორნა, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ შეხვდნენ ერთმანეთს სხდომაზე და ისაუბრეს აღნიშნულ საკითხზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ისახავს ძალიან რთულ მიზანს - შეიმუშაოს დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამა მაშინ, როდესაც არ აქვს სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება. დიპლომირებული მედიკოსის ნებისმიერი პროგრამის წარმატებით განხორციელება მოითხოვს არა მხოლოდ შენობებსა და დიდი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე მენეჯმენტს, არამედ შესაბამის აღჭურვილობას და, რაც მთავარია, ადეკვატური რაოდენობის კვალიფიციურ კადრებს. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, აშკარაა, რომ დაწესებულებამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს და არ არის მზად დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განსახორციელებლად. დაწესებულების მისიაა - უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერებასა და კლინიკურ გამოცდილებაზე. ამასთან ერთად, პროგრამის მიზნები არ არის მიღწევადი, ძირითადად მატერიალური და ადამიანური რესურსების ნაკლებობის გამო. მაგალითად: ბიბლიოთეკა არის სათანადო, თუმცა ძირითადი საგნებისთვის საერთოდ არ არსებობს ლაბორატორიები და მცირეა ადამიანური რესურსი, სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზებაში მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. ამჟამად, ცენტრის მონაცემთა ბაზაში აღნიშნულია დაწესებულების მხოლოდ ერთი აფილირებული თანამშრომელი.
სტანდარტებთან შესაბამისობის შეჯამება:
- სტანდარტი 1 – „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
- სტანდარტი 2 – „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“;
- სტანდარტი 3 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
- სტანდარტი 4 - „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“;
- სტანდარტი 5 - „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ ახლა მოკლედ მოისმინეს დასკვნა, თუმცა წინა სხდომაზე ვრცლად იყო წარდგენილი და დაწესებულების წარმომადგენლები შეეცდებიან საბჭოს აჩვენონ, რომ რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებული აქვთ და ამრიგად, მზად არიან პროგრამის განსახორციელებლად. იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ უფრო მარტივი იქნებოდა მათთვისა და ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის დაწყება ისეთი სპეციალობით, რომელიც არ მოითხოვს რთულ გზას, თუმცა მათ შეგნებულად აირჩიეს ასეთი გზა, რადგან საქართველოში სულ რამდენიმე უნივერსიტეტია, რომელიც სამედიცინო განხრით მუშაობს და აქვს ისეთი შესაძლებლობა, როგორიც მათ უნივერსიტეტს. ამრიგად, მან დასძინა, რომ თუ პროგრამას მიეცემა აკრედიტაცია და ექნებათ შესაძლებლობა, რომ მიიღონ სტუდენტები, ისინი დადებენ შედეგს. მან ასევე დაამატა, რომ მათ აქვთ საკუთარი კლინიკა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განიხილა სტანდარტები:

სტანდარტი 1 – ექსპერტებმა მონიშნეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა მისი მოსაზრებით, მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც აღნიშნულ სტანდარტში იყო გაწერილი და წინა განხილვაზე ყურადღება იყო გამახვილებული არის, რომ ექსპერტების შთაბეჭდილებით პროგრამის შემუშავებაში მთლიანი პერსონალი არ იყო ჩართული. მან განაცხადა, რომ პროგრამის ინიცირება მოხდა ჯგუფისგან, შემდეგ შეიქმნა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების ჯგუფი, 10-მდე კვალიფიციური ადამიანი, რომელთაც აქვთ სხვადასხვა უნივერსიტეტებში მუშაობის გამოცდილება და მონაწილეობდნენ ასეთი ტიპის პროგრამის განხილვაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგრამა შემოიტანეს „სამედიცინო განათლების გავრცელების ეროვნული ცენტრის“ დახმარებითა და კონსულტაციით, რადგან მას ევალება ამის გაკეთება. ამ კუთხით, ძირითადი მიმდინარეობა არის შემდეგი: არის სპეციალისტების ჯგუფი, რომელთაც აქვთ საკუთარი სასწავლო კურსების ზედმიწევნითი ცოდნის გარდა, კურიკულუმის გააზრების, შინაარსის ხედვა და დისციპლინათა ინტეგრაციის გავრცელება. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მათ ვერ დაინახეს მთელი პერსონალის აქტიური ჩართულობა.

მისი მოსაზრებით, ყველას ესმის ის ფაქტი, რომ პროგრამის დიზაინში უშუალოდ/მუდმივად ჩართულია კონკრეტული ჯგუფი, დანარჩენი თანამშრომლები კი - ზოგიერთი მათგანი, მოგვიანებით შეუერთდა უნივერსიტეტს, შესაბამისად საწყის ეტაპზე ისინი არ იყვნენ ჩართულნი. მან აღნიშნა, რომ თუ მართლა საჭირო იყო იმის დანახვა, თუ როგორ მუშაობდა ეს ჯგუფი, მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნულ ჯგუფთან ცალკე შეხვედრის დანიშვნა, რადგან ისინი უკეთ აუხსნიდნენ სამუშაო პროცესს. აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა არ შედგა. მან შეახსენა საბჭოს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2020 წლის 11 სექტემბერს დაწესებულებაში ჩატარდა მონიტორინგი და მათ აღნიშნული მონიტორინგის დროს უფრო კარგად შეაფასეს, თუ როგორ მიმდინარეობდა პროგრამის განვითარებაზე მუშაობის პროცესი. მან ამოიკითხა ამონარიდი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან, რომელშიც ექსპერტები ადასტურებენ, რომ „პროგრამის განვითარების პროცესს ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი, კონსულტანტთან ერთად და ჩართულნი არიან, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე მიმდინარეობდა გუნდური სამუშაოები, ყოველი კვირის ხუთშაბათს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს შეხვედრები ტარდებოდა“, მისი თქმით, იკრიბებოდა ჯგუფი, მიდიოდა მსჯელობა, თვითონაც მონაწილეობდა აღნიშნულ შეხვედრებში, თუმცა მისი მონაწილეობა, გულისხმობდა მოდერატორობას; იგი სვამდა კითხვებს და ისმენდა პასუხებს.

მისი მოსაზრებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა არ მიაქცია ყურადღება, თუმცა ავტორიზაციის/მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ დაწესებულებამ აჩვენა, თუ როგორ მიმდინარეობდა პროგრამის განვითარების პროცესი და ამასთანავე, დაწესებულების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ყველა ლექტორი ერთნაირად

ვერ იქნებოდა ჩართული პროცესში; თითოეული პედაგოგი თავის ჯგუფთან ერთად (საუბარია მოდულის ჯგუფზე) ამზადებდა თავის სილაბუსს და შემდგომ ხდებოდა ამის კოორდინირება ხელმძღვანელთან, რაც უკვე თავისთავად მისი ჩართულობაა. მან ასევე ხაზი გაუსვა კიდევ ერთ ფაქტს, რასაც არ მიაქციეს ყურადღება აკრედიტაციის ექსპერტებმა, ხოლო ავტორიზაციის/მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა გაამახვილა ამაზე ყურადღება: უნივერსიტეტმა ჩაატარა ძალიან სერიოზული კვლევა, გამომდინარე იქიდან, თუ რა შესაძლებლობებიც ამ ეტაპზე მათ ჰქონდათ. ეს იყო კვლევა, რომელშიც წარმოდგენილი იყო, თუ როგორ იყო აღქმული უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ (საუბარია ადმინისტრაციაზე, მოწვეულ პერსონალსა და აკადემიურ პერსონალზე) პროგრამაზე მუშაობა, პროგრამის მიზნები, შედეგები და ა.შ. ეს ყველაფერი იყო გაწერილი. აღნიშნული კვლევა ჩატარებული იყო რეალურად, რისი დასტურიც არის ის, რომ გამოკითხვის შედეგების თვისობრივი ანალიზის ჩატარების შემდეგ, მათ რომ არ გაეკეთებინათ რეალური მონაცემების დამუშავება, მაშინ შედეგებში ეწერებოდა, რომ ყველა ბრწყინვალედ ახასიათებს პროგრამას, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამაზე მუშაობის, პროცესისა და პროგრამის მიზნების შეფასება, როდესაც შეადარეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ერთმანეთს, გაჩნდა იმგვარი დამოკიდებულება, რაც რეალურია, რადგან აკადემიური პერსონალი უფრო მეტად იყო ჩართული. მიუხედავად ამისა, როდესაც საუბრობენ პროგრამის განვითარების ჯგუფზე, იქ არ არის მხოლოდ აკადემიური პერსონალის ჩართულობა, ასევე ჩართული იყო მოწვეული პერსონალიც; ზოგიერთი მათგანი მეტად იყო ჩართული, ზოგიერთი ნაკლებად, მაგრამ, როდესაც ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომ დაწესებულებას უზრუნველეყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა, მას ესმის, რომ ეს იდეალურ სიტუაციაში ასეა, მაგრამ ამ ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარე - სტუდენტები, დაწესებულებას არ ჰყავს. კიდევ იყო კითხვა სტუდენტების გამოკითხვის სიხშირეზე, ნათქვამი იყო 2 სემესტრის ბოლოს, თუმცა ვერ აჩვენეს ამის მტკიცებულება, რადგან არ ჰყავთ სტუდენტები.

მისი თქმით, ასევე, ავტორიზაციის/მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა გაამახვილა ყურადღება სიტუაციაზე, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტს არ აქვს დაწყებული სწავლება და აქედან გამომდინარე, რაიმე დიდ გამოცდილებაზე ლაპარაკი ამ ეტაპზე არ შეიძლება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ დაწესებულების თანამშრომლების უდიდესი ნაწილი, ძირითადად მოწვეული პერსონალის (რადგან აკადემიური პერსონალი ძირითადად მათ კლინიკებში არიან დასაქმებულნი) შერჩევის კრიტერიუმი იყო სხვადასხვა უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილება. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ამ გამოცდილებას მათთანაც გამოიყენებენ.

მან ასევე ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომელიც მოწმობს, რომ ისინი ითვალისწინებენ რეკომენდაციებს; მათ გათვალისწინებული აქვთ ის რეკომენდაციები, რომლებიც გაწერილია დასკვნაში. მისი მოსაზრებით, რეკომენდაციების უმრავლესობა არის ძალიან კარგი, მაგრამ დაწესებულებას ესენი ისედაც აქვს და სწორედ ეს არის პრობლემა, საბჭომ ისე არ უნდა აღიქვას, რომ რაც რეკომენდაციებშია გაწერილი არაფერი არ აქვთ. მან დასძინა, რომ მათ აქვთ, თუმცა შესაძლებელია ისინი დასახვეწია, რასაც დრო სჭირდება.

მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია არის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აქტიურად იმუშაოს პროგრამის დახვეწაზე, რომელთან დაკავშირებითაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ისინი ყოველ ხუთშაბათს ხვდებოდნენ, ითვალისწინებდნენ ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციებს, გაითვალისწინეს აკრედიტაციის ექსპერტებისა და გარე ექსპერტების რეკომენდაციები. ს, მისი მოსაზრებით, იმის ნიშანია, რომ ისინი ამას აკეთებენ, მათ ბევრი მტკიცებულების წარმოდგენა არ შეუძლიათ, რადგან არ აქვთ აღნიშნული მტკიცებულებები.

მეორე სტანდარტზე სასაუბროდ მან სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელს - ლელა ვანიშვილს.

სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი, ლელა ვანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა იყო უზუსტობები პროგრამაზე

დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. დაწესებულებას მითითებული აქვს და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის სულ მცირე B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ან პროგრამაზე ჩაბარების მსურველებმა უნდა ჩააბარონ ინგლისური ენის კომპეტენციის განმსაზღვრელი გამოცდა, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი, რათა ამის საფუძველზე შეძლონ მათი მიღება. ასევე, ქართველი სტუდენტებისთვის წინაპირობა არის ეროვნულ გამოცდებზე შესაბამისი საგნების ჩაბარება, ხოლო უცხოელი სტუდენტებისთვის აქვთ შიდა გამოცდა, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურადაც.

მისი თქმით, საუბარი იყო 600 სტუდენტთან დაკავშირებით შეზღუდვაზე. მან განაცხადა, რომ უნივერისტეტი პირველ ჯერზე აპირებს მიიღოს 50 სტუდენტი. სტუდენტების რიცხვი შემდეგში გაიზრდება 140 სტუდენტამდე, შემდეგ წელს 260 სტუდენტამდე და მეექვსე წელს ფიქრობენ ჰყავდეთ 560 სტუდენტი.

მობილობასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ყველანაირად მოვიდნენ თანხვედრაში კანონმდებლობასთან და შეზღუდეს 5%-მდე. მან ასევე ყურადღება გაამახვილა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, სადაც იყო რამდენიმე კითხვა/უზუსტობა/გაურკვევლობა. დაწესებულებას გარკვევით უწერია და ძალიან გამჭვირვალეა შეფასების სისტემები, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ლექტორებისთვისაც, გამოცდა არის - შეფასება ტესტებით, ღია კითხვებით, პორტფოლიოთი, პრეზენტაციით, რაც იმდენად დეტალურად არის გაწერილი თითოეული კურსის სილაბუსში, რომ არ არსებობს ან ლექტორს, ან სტუდენტს გაუჩნდეს რაიმე კითხვა და ეს არ იყოს გამჭვირვალე და ცხადი მათთვის.

მან პროგრამაზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, გია წილოსანს.

პროგრამის ხელმძღვანელი, გია წილოსანი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა რამდენჯერმე წარდგენილი ჰქონდათ წინა ავტორიზაციის პროგრამის დროს, როდესაც ჩამოსულები იყვნენ ექსპერტები, გაერთიანებული სამეფოდან, როგორც დერბის, ასევე ნიუ კასლის უნივერსიტეტის პროფესორები, დაწესებულების წარმომადგენლებმა მათთან თანამშრომლობით დახვეწეს პროგრამა. მან განმარტა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ივანა ობორნასაც შენიშვნა, მისი თქმით პროგრამა შეიძლება განხორციელებულიყო, თუმცა მისი დანერგვა და იმპლემენტაცია უნდა მოხდეს განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა გადაწყვიტოს საბჭომ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს რეკომენდაცია, პროგრამის დეტალური გრაფიკისა და სტუდენტებისთვის განსაზღვრული გრაფიკის შედგენის შესახებ, სტუდენტები, რომლებიც ვერ დაძლევენ პირველ მოდულს და ვერ შეძლებენ შემდეგი მოდულის აღებას მათთვის შეიქმნება შესაბამისი ჯგუფები, ცხრილები იქნება სხვანაირი. მაგ., სასწავლო კურსი „კლინიკური დიაგნოსტირების საფუძვლები“, ცხრილის მიხედვით, დაგეგმილია საგნის შესწავლა, იწყება მეათე კვირაში და მეოცე კვირაში მთავრდება გამოცდით, ამიტომ მეცამეტე და მეთექვსმეტე კვირებში შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონსულტაციები, ასეთი ნიუანსები შექმნილია ექსპერტთა ჯგუფთან ერთად, რომელიც რამდენიმე წელია ახორციელებს მსგავს პროგრამებს.

მისი მოსაზრებით, პროგრამა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივად იხვეწება და არსებობს სრულიად ახალი, ინოვაციური და ნოვატორული მიდგომები, მთავარია მისი სწორად დაგეგმვა, მართვა და იმპლემენტაცია, რაზეც მუშაობენ. პროგრამაში ჩართულობის მიხედვით მათ სხვადასხვა დოზითა და სხვადასხვა საათობრივი დატვირთვით ჰყავდათ ჩართული ექსპერტები აღნიშნული პროგრამის სილაბუსების შედგენაში და ისინი კონსულტირებას უწევდნენ პედაგოგებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ივანა ობორნას, საბჭოს შეახსენა მისი სიტყვები „არ არის მიღწევადი“ და განაცხადა, რომ შესაძლებელია მარტო ერთმა ადამიანმა ვერ გააკეთოს, თუმცა ეს პროგრამა არის გუნდური მუშაობის შედეგი, დაწესებულების წარმომადგენლები ითვალისწინებენ საერთაშორისო ექსპერტებსაც.

მან აღნიშნა, რომ პანდემიის პერიოდში შემუშავდა სრულიად ახალი, „ბლექ ბორდის“ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მიმდინარეობას, დისტანციური სწავლის პერიოდში სტუდენტების ჩართულობას, პედაგოგების მხრიდან კი, იქმნება ბაზა და ხდება ყველა ამ მონაცემის ატვირთვა, რაც უფრო გააადვილებს სტუდენტსა და პედაგოგს შორის დაახლოებასა და თანამშრომლობას. სტუდენტთა რაოდენობის შესახებ მან განაცხადა, რომ ეს განსაზღვრულია იმ საგნიდან გამომდინარე, იქნება აუდიტორული სამუშაოები თუ კლინიკური, წინასწარი/ნორმატიული ჩანაწერი არ არსებობს.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს რეკომენდაციებისთვის, რომლებსაც ითვალისწინებენ. მისი მოსაზრებით, საბჭოც გაიზიარებს და შეიქმნება წარმატებული სამედიცინო პროგრამა; პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი შექმნის მედიცინის ახალ მუშაკებს, რომელიც დღესდღეობით აუცილებელია.

დეკანი, ნინო შარაშენიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მეორე სტანდარტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ იყო გაცემული შემდეგი რეკომენდაციები:

● შექმენით შესაბამისი ლაბორატორიები ძირითადი სამეცნიერო კვლევისთვის;
● შექმენით შესაბამისი ლაბორატორიები კლინიკური სამეცნიერო კვლევისთვის;
● გამოყავით ბიუჯეტი სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისთვის.

მისი თქმით, საბჭოსთვის ცნობილია უნივერსიტეტის ბიუჯეტი და სამოქმედო გეგმა, რომლებშიც ასახულია, რომ უნივერსიტეტი აცნობიერებს ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობას, დაწესებულებას აქვს „სასწავლო უნივერსიტეტის“ სტატუსი, თუმცა სტრატეგიითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა. უნივერსიტეტს აქვს კვლევითი ლაბორატორიები, რომლებზე წვდომა ექნებათ სტუდენტებსაც, იმ დრომდე, სანამ უნივერსიტეტი თვითონ არ შექმნის კვლევით ლაბორატორიებს. გარდა ამისა, ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში უკვე აშენებულია ორსართულიანი კორპუსი, რომელიც განკუთვნილია ლაბორატორიისათვის, თუმცა დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე დაწესებულებას ლაბორატორიული კორპუსის სახელმწიფოსთვის გადაცემა მოუწია და ამჟამად, კორონავირუსით დაინფიცირებული პაციენტების მკურნალობა მიმდინარეობს, მომავალში კი ეს კორპუსი გათვალისწინებულია, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ უფრო კარგი პირობები ლაბორატორიული მეცადინეობისათვის.

2.5 ქვესტანდარტთან (სწავლა-სწავლების მეთოდები) დაკავშირებით მან გაიხსენა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია: „განსაზღვრეთ და მკაცრად დააკვირდით სტუდენტებისა და მასწავლებლების თანაფარდობას სწავლებისა და სწავლის თითოეული მეთოდისთვის“ - მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული საგნებში საჭირო მასწავლებლების რაოდენობის დათვლის სპეციალური მეთოდოლოგია, რაც მაგალითის სახით წარდგენილი/განმარტებული იყო ანატომიის სწავლების შემთხვევაში.

2.6 ქვესტანდარტთან (სტუდენტების შეფასება) დაკავშირებით, მან გაიხსენა რეკომენდაცია: „დაამატეთ მოდულების/კურსების/საგნების ჩამონათვალი, სადაც OSCE არის ნახსენები, როგორც შეფასების ნაწილი; შეიტანეთ აღნიშნული ინფორმაცია შესაბამის სილაბუსებში“ - მან განაცხადა, რომ ყველა სილაბუსი, სადაც OSCE იყო ნახსენები, შეტანილია აღნიშნული შეფასებები, რასაც ადასტურებს 11 სექტემბრის მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაც, თუმცა, რაც უფრო სრულყოფილად ეცოდინება პერსონალს ამ მეთოდის (და არამარტო ამ მეთოდის) განხორციელება, უფრო კარგია. ამასთან, თვითონ ექსპერტების მითითებაში ჩანს, რომ უნივერსიტეტი ამ მიმართულებით მუშაობს (შესაბამისი განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი და აღწერა მიეწოდათ ექსპერტებს ვიზიტის დროს). ამასთან, მონიტორინგის დროს ექსპერტებიც აღნიშნავდნენ, რომ დაწესებულების „სტაფს“ ჰქონდა მზაობა OSCE-ს გამოცდისათვის. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში მითითებულია თანამშრომლებისთვის ტრენინგების შეთავაზება, რათა უფრო დეტალურად და ღრმად გაეცნონ ამ გამოცდას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ავთანდილ გაგნიძე დაეთანხმა ექსპერტებს ადამიანური რესურსების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ძალიან კარგად აქვს გააზრებული და მუშაობს ამ საკითხზე, მან სიტყვა გადასცა

პროგრამის ხელმძღვანელს, გია წილოსანს, რომელიც საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყო.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გია წილოსანმა განაცხადა, რომ აღნიშნული კონკურსი ეხებოდა აკრედიტებული პროგრამის პედაგოგებს, კონკურსის ჩატარებამდე პედაგოგებს გაეგზავნათ კითხვარი, მათ განიხილეს რა შეიძლებოდა ყოფილიყო მოთხოვნილი უნივერსიტეტში და როგორ შეიძლება ჩართულიყვნენ აღნიშნულ პროგრამაში, შემდეგ გაშიფრეს/შეისწავლეს შედეგები. კონკურსის გუნდი აფასებდა პედაგოგების აკადემიურ საქმიანობას, პროფესიონალიზმს, უნარ-ჩვევებსა და იმ პოზიტიურ მაჩვენებლებს, რომლებიც შეფასებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს წარმოადგენს. საბოლოოდ შეარჩიეს პედაგოგთა ჯგუფი, რომელიც დაემატა უნივერსიტეტში არსებულ პროფესიონალურ გუნდს; ისინი შეავსებენ და უფრო მოქნილს გახდიან სასწავლო პროცესს. მისი თქმით, მთელი ეს პროცესი იმდენად კარგად იყო ორგანიზებული, რომ ყველამ მიიღო მონაწილეობა და ამ მხრივ შეფერხება არ ჰქონიათ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ავთანდილ გაგნიძემ გაიხსენა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის, ივანა ობორნას სიტყვები, რომ უნივერსიტეტის მასწავლებლების მონაცემები არ იყო მონაცემთა ბაზაში, მან განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა მარტის დასაწყისში, უნივერსიტეტმა კი ბაზაზე წვდომა მიიღო 19 თებერვლიდან და ფიზიკურად ვერ მოასწრეს მონაცემების ატვირთვა, თუმცა შესაძლებელია ამის გადამოწმება, რომ ყველა მონაცემი შეტანილია, ამ ეტაპზე უნივერსიტეტს ჰყავს 30 აკადემიური (სრული შტატის) თანამშრომელი, საიდანაც 17 არის აფილირებული პერსონალი, 13 კი უბრალოდ აკადემიური პერსონალი და 54 მოწვეული პედაგოგი, რაც ჯამში არის 84, თუმცა ამას 84-ად არ თვლიან, რადგან, როდესაც დეკანის მიერ ნახსენები მეთოდოლოგიით დათვალეს რამდენი პედაგოგი სჭირდებოდათ და გადაიყვანეს სრული შტატის ექვივალენტზე, აღმოჩნდა, რომ 84 პედაგოგი სჭირდებათ, მაგრამ ახლანდელი 84 არა, რადგან 54 არის მოწვეული, რომლებიც დაახლოებით ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ, რომ კიდევ სჭირდებათ თანამშრომლები, თუმცა პირველი 2-3 წლისთვის თანამშრომელთა ამჟამინდელი რაოდენობა აბსოლუტურად საკმარია. ამასთანავე, დაწესებულება აგრძელებს მოწვეული პერსონალის ძიებას, რადგან არ არის ადვილი კვალიფიციური კადრის მოძებნა.
მისი თქმით, ექსპერტებმა შენიშვნის/რეკომენდაციის სახით გასცეს, რომ დაწესებულებას მითითებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეკუთვნის მის თანამშრომლებს, მათ შორის ავთანდილ გაგნიძესაც, თუმცა აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომები არ არის აფილირებული უნივერსიტეტთან, რადგან უნივერსიტეტი ახალია და ავტორიზაცია წინა წელს მიიღო, აქედან გამომდინარე ამ ნაშრომებთან დაკავშირებით დაწესებულებას მითითებული აქვს, რომ უნივერსიტეტი არ განიხილავს ამ სამეცნიერო ნაშრომებს, როგორც უნივერსიტეტთან აფილირებულს, ნაშრომები მოყვანილი იყო იმის საჩვენებლად, რომ უნივერსიტეტის პერსონალს აქვს სამეცნიერო მუშაობის დიდი გამოცდილება/პოტენციალი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მიუთითა შემდეგ რეკომენდაციაზე: „მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პერსონალთან შეხვედრების სიხშირე“ - მისი თქმით, ვიზიტის დროსაც ცდილობდა აეხსნა, რომ ყოველ ორ კვირაში ან კვირაში ერთხელ ტარდებოდა შეხვედრები.
მან განაცხადა, რომ დაწესებულება მხოლოდ ერთ ადგილზე არ არის გაჩერებული, მან დაიმატა ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა. „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ პროგრამაზე ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, ზოგიერთი სამსახურის გაყოფა, რაც მათ კარგად ესმით, დაწესებულება საწყის ეტაპზეა და ზოგიერთი სამსახური აქვთ შეერთებული, თუმცა გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაცია, სტრატეგიული განვითარების სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უკვე გაყოფილია ორ სამსახურად.
მან ჰკითხა საბჭოს თავმჯდომარეს შეეძლო თუ არა კიდევ საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ შეეძლო ესაუბრა რამდენ ხანსაც მოისურვებდა, რადგან წინა სხდომაზე ოთხსაათნახევარი ილაპარაკეს და სააპელაციო საჩივრის ძირითადი არგუმენტაციად გაწერეს, რომ არ მიეცათ აზრის გამოთქმის საშუალება.
ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ ოთხსაათ ნახევარი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა ობორნამ ისაუბრა.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ორსაათნახევარი გრძელდებოდა აღნიშნული საკითხის განხილვა, თუმცა საბჭოს წევრები არ იყვნენ დროში შეზღუდულები და დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ ესაუბრათ რამდენ ხანსაც მოისურვებდნენ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი არ დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს. მან გააგრძელა რეკომენდაციებზე პასუხი. განაცხადა, რომ ერთ-ერთი შენიშვნის თანახმად, უნივერსიტეტს არ აქვს შესაბამისი/საკმარისი მატერიალური რესურსი, რაც უნივერსიტეტს კარგად ესმის, რომ ის მატერიალური რესურსი, რომელიც ახლა აქვს არ არის საკმარისი სრული პროგრამისთვის, მაგრამ მისი მოსაზრებით, საკმარისია საწყისი ეტაპისთვის, დაითვალეს უნივერისტეტის ფართი და დაწესებულებას აქვს საშუალება ერთდროულად მოემსახუროს 720 სტუდენტს, თუმცა ამჟამად არ აპირებენ ამ რაოდენობის სტუდენტების მიღებას, მათ სურთ 560 სტუდენტი ჰყავდეთ აღნიშნულ პროგრამაზე, რაც შეეხება მეორე პროგრამას სულ 40 სტუდენტის მიღებაა გათვალისწინებული, თუმცა სამაგისტრო პროგრამაა და ლექციები ტარდება დღის მეორე ნახევარში და შაბათ-კვირას. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ყურადღება გამახვილებული იყო OSCE-ის ცენტრზე, რომელიც ჯერ არ არის შექმნილი, თუმცა მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა წარადგინეს კლინიკური გამოცდების ცენტრის დებულება და სტრუქტურა, აგრეთვე მიუთითეს, თუ სად იქნება განთავსებული ცენტრი, როგორ იქნება აღჭურვილი, თუ ეს ეხება 12 სადგურის მოთხოვნას, დაწესებულებას ჯერჯერობით დაგეგმილი აქვს 10 სადგურის შექმნა, მან აღნიშნა, რომ სანამ დაწესებულებას არ ექნება საშუალება, რომ გამოცდები ჩაატაროს 10-12 სადგურზე, მანამდე უნივერსიტეტი გამოცდებს განახორციელებს „მედიკლაბ ჯორჯიას“ ბაზაზე, რადგან მათ აქვთ ამის გამოცდილება.
კლინიკური ლაბორატორიების აღჭურვასთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მთელი ახალი ორსართულიანი კორპუსი, ამ ეტაპზე გამოუყენებლობის მიუხედავად, რომელიც აშენდა, უნდა იყოს სალაბორატორიო.
ბეჭდური სახელმძღვანელოების სიმცირესთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები არის ელექტრონული, თუმცა არის ამობეჭდვის საშუალებაც.
მან გაიხსენა რეკომენდაცია - „უზრუნველყავით სათანადო ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სრული ხანგრძლივობისთვის (სულ მცირე)“, რომელთან დაკავშირებითაც განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ყოველ წელს ანახლებს სამეცნიერო ბაზებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს, თუ რაიმე კონკრეტული ბაზა იგულისხმება, შესაძლებელია უნივერსიტეტისთვის მიმართვა და ის ბაზაც ექნებათ, თუმცა არსად არ არის მოთხოვნილი კონკრეტული ბაზები, ნებისმიერ სტუდენტსა და ნებისმიერ პედაგოგს ექნება წვდომა უნივერსიტეტის IP მისამართიდან, თუმცა უნივერსიტეტის გარე IP-დან არსებობს რაღაც შეზღუდვები.
მისი თქმით, დასკვნაში ეწერა, რომ უნივერსიტეტს აქვს ძალიან ბევრი კითხვარი და ექსპერტებისთვის გაუგებარია, როგორ იქნება შევსებული, იქნება თუ არა ანონიმური. მან განაცხადა, რომ ყველა კითხვარი, რომელიც უნივერსიტეტმა წარადგინა ანონიმურია, გამონაკლისია ექსპერტთა შეფასების კითხვარი, რადგან დაწესებულებას აინტერესებს ექსპერტის აზრი. მართალია, რომ უნივერსიტეტს ძალიან ბევრი კითხვარი აქვს, რადგან უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასება ყველა მიმართულებით ხდება, შემდეგ შესაძლებელია ამ

კითხვარების დამუშავება, რისი მაგალითიც იყო წარდგენილი, რომ 90-92-მა ადამიანმა შეავსო ეს კითხვარი, მისი სიდიდიდან გამომდინარე რთული იყო დამუშავება, თუმცა ყველა დამუშავდა და ეს მუდმივად გაკეთდება.
საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ესმით და თვითონ უნივერსიტეტი თავისი დაფუძნების შინაარსით არის საერთაშორისო, მათ აქვთ დაწყებული მოლაპარაკებები, მაგ., თურქეთის უნივერსიტეტთან, მაგრამ შეუძლებელია მოლაპარაკება მივიდეს ბოლომდე, როდესაც დაწესებულებას არ აქვს აკრედიტებული პროგრამა, თუ პროგრამას მიეცემა აკრედიტაცია ეს ყველაფერი მაშინვე ამუშავდება.
მან მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, ნებართვისათვის, რომ ესაუბრათ მრჩეველთა საბჭოს წევრებს, ბეჟან წინამძღვრიშვილსა და ამირან გამყრელიძეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულების წარმომადგენლებს უწერიათ, რომ უნივერსიტეტს გამოქვეყნებული აქვს 140 პუბლიკაცია, თუმცა ვიზიტის დროს ამ ნაშრომებიდან არცერთი იყო უნივერსიტეტთან აფილირებული, მაგრამ წესების თანახმად, კვლევები, მონოგრაფიები და სტატიები ითვლება მხოლოდ უნივერსიტეტთან აფილირებული, იგი დაინტერესდა რატომ ჩაითვალა ზემოაღნიშნული 140 პუბლიკაცია თვითშეფასების ანგარიშში.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით, პუბლიკაციების შესახებ თვითშეფასების ანგარიშში ეწერა, რომ არ არის აფილირებული უნივერსიტეტთან, ეს ყოველივე იყო პერსონალის შესაძლებლობის საჩვენებლად, რომ შეუძლიათ გააკეთონ კვლევები და ვინაიდან უნივერსიტეტი ახალია ამიტომ არ არის მასთან აფილირებული კვლევები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს უკვე სამი წელია აქვს ავტორიზაცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მხოლოდ 1 წელია, რაც უნივერსიტეტს აქვს ავტორიზაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა ამ ერთი წლის განმავლობაში დაიწერა თუ არა რაიმე პუბლიკაცია, რომელიც აფილირებულია უნივერსიტეტთან, რაც დაამტკიცებს, რომ ისინი აკეთებენ კვლევებს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს სჭირდებათ მეტი კვლევები, თუმცა ეს რიცხვი იყო მხოლოდ მათი შესაძლებლობის საჩვენებლად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათ რა თქმა უნდა აქვთ შესაძლებლობა, მაგრამ არ არის წარდგენილი მათი კვლევა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა დრო ეჩვენებინა, რომ ჰქონდა შესაძლებლობა და გაეკეთებინა რაღაცები. ესაძლებელია, თუ აქვთ სხვა პროგრამა, ეს დაეხმაროს პრობლემის პოვნაში, მაგრამ ისეთი რთული პროგრამის დაწყება, როგორიცაა სამედიცინო, არის ძალიან რთული. მისი მოსაზრებით, ეს არ არის რთული დავალება უნივერსიტეტისთვის, რომელსაც აქვს გამოცდილება. მისი თქმით. პირველი შეხვედრისას, ყველაფერი ცალ-ცალკე კარგად იყო შესრულებული, მათ შორის სილაბუსები იყო კარგად დაწერილი, მაგრამ რეალური პრობლემა არის - როგორ შეუძლიათ დაგეგმონ მიმდინარეობა/იმპლემენტაცია, რადგან დაწესებულებას არ ჰყავს საკმარისი პერსონალი, 150 სტუდენტს სჭირდება დიდი უნივერსიტეტი და გამოცდილება, ამ ტიპის პრობლემით მისთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება შეიტანონ ცვლილებები. მან აღნიშნა, რომ იმპლემენტაცია არის მკვდარი წერტილი დაწესებულებისთვის, თუმცა გადაწყვეტილება საბჭოზეა დამოკიდებული.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მან განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს 30 აკადემიური (სრული შტატის)

თანამშრომელი, საიდანაც 17 არის აფილირებული პერსონალი, 13 უბრალოდ აკადემიური პერსონალია და 54 მოწვეული პედაგოგი, მათ სჭირდებათ დამატება და მუშაობენ ამ საკითხზე. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პროფესიონალიზმს პატივს სცემს, თუმცა ეჭვი ეპარება მის ობიექტურობაში. მან კიდევ ერთხელ მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, ნებართვისათვის, რომ ესაუბრათ მრჩეველთა საბჭოს წევრებს, ბეჟან წინამძღვრიშვილსა და ამირან გამყრელიძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველას რთავდა საუბრის ნებას და არ ზღუდავდა დროში.

მრჩეველთა საბჭოს წევრი, ბეჟან წინამძღვრიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მისთვის მისასალმებელია ყოველი ახალი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, თუ მას გააჩნია ინტელექტუალური რესურსი, ტექნიკური ბაზა და ა.შ. განსაკუთრებით აღნიშნულ უნივერსიტეტს, რომელიც დებატების საფუძველს წარმოადგენს. მან საბჭოს ყურადღება მიაპყრო რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს: პირველი ფაქტი არის, რომ ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელს, თემურ ხუროძეს გააჩნია უმაღლესი განათლების პროცესის მართვის დიდი გამოცდილება, იგი წლების განმავლობაში იყო ქართველთა ალმა-მატერის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, მან განმარტა, რომ ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მისი დაფუძნების მოტივაცია და სტიმული გულისხმობს მაღალი დონისა და ხარისხის სასწავლო პროცესის წარმართვას. მეორე ძირითადი დამფუძნებელი ბაქოს მხრიდან არის ბაქოში ყველასათვის ცნობილი და აღიარებული უნივერსიტეტის დამფუძნებელი, ანუ დამფუძნებლების მოტივაცია და სტიმული არის უნივერსიტეტში სწორი სასწავლო პროცესის წარმართვა.

მან განაცხადა, რომ თვითონ არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის გამგე და ესმის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის კლინიკური ბაზის საკითხი, რომელიც პრობლემატურია ყველა სასწავლო უნივერსიტეტში, რომელშიც არ იგულისხმება თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ, ზოგადად, ბაზების საკითხი რთულია, რადგან კლინიკები კერძო სექტორია და გარკვეული დისონანსია აღნიშნულ საკითხში.

მან განმარტა, რომ მესამე კურსის სტუდენტი, როდესაც მიდის პაციენტთან, სწორედ ექიმი/პედაგოგი უნდა გახდეს გზამკვლევი სტუდენტისთვის, რადგან ამ დროს ყალიბდება სტუდენტის, როგორც ექიმის ქცევის სტერეოტიპი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. აღნიშნა, რომ ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში აიდგა ფეხი ყველა ქართველმა ექიმმა და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დაწესებულებისთვის, რადგან სწორედ აღნიშნული კლინიკა არის შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის საბაზისო კლინიკა, სადაც შერწყმულია ტრადიცია და პროფესიონალიზმი, ექიმები და პედაგოგები კი არიან უდიდესი კლინიკური და პედაგოგიური გამოცდილებით.

მისი თქმით ასევე, საბაზისო კლინიკა არის ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტი, ეს არის მკურნალობის ადგილი, სადაც, ასევე წლების განმავლობაში არის ტრადიციული კლინიკა. მან დასძინა, რომ ბალნეოლოგიური კურორტი იყო ლაბორატორიული საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. ფაქტი კლინიკური ბაზებისა და ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის ტრადიცია, პროფესიონალი ექიმები, პროფესიონალი პედაგოგები, რომლებიც ქმნიან განსაკუთრებულად მნიშვნელოვან კურსს, რომელიც სჭირდება სამედიცინო პროგრამას. მან განაცხადა, რომ ბევრი უნივერსიტეტი ვერ დაიკვეხნის ასეთი პროფესიონალი ექიმებითა და პედაგოგებით დაკომპლექტებული, საუნივერსიტეტო კლინიკებით. მისი თქმით, ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა არის ყველა ქართველი ექიმის მექა, სადაც აიდგეს ფეხი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა კიდევ სურდა თუ არა დაწესებულების რომელიმე წარმომადგენელს საუბარი.

კანცლერი, თემურ ხუროძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, დაადასტურა მისი უდიდესი პატივისცემა საბჭოს თავმჯდომარის მიმართ, რომელიც უნივერსიტეტელია და მისთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სწორედ მისი პროორექტორობის დროს სწავლობდა ირაკლი ბურდული.
მან განაცხადა, რომ შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს მინიჭებული აქვს ავტორიზაცია 6 წლის ვადით. უნივერსიტეტის მიზანია ჩამოყალიბდეს სამედიცინო მიმართულების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუციად, რაც არ გამორიცხავს მომავალში სხვა სპეციალობის შემოტანას, თვითონ, თემურ ხუროძე მათემატიკოსია და განიხილება ეს საკითხიც, აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულებამ აკრედიტაციის შემდეგ, ავტორიზებულ რეჟიმში მოიპოვა „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელების უფლება, ამასთან დაწესებულებისთვის უმთავრეს ამოცანად რჩება „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის დაფუძნება.
მისი თქმით, უნივერსიტეტის დამფუძნებლები არიან უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის დიდი გამოცდილებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერები, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, მათ შორის მეზობელი ქვეყნის, სტრატეგიული პარტნიორის აზერბაიჯანის, ყაზარის უნივერსიტეეტის რექტორი და დამფუძნებელი, რომელიც გაზრდილია საქართველოში და აშენებს „ხიდებს“ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, მას აქვს დიდი სურვილი, თავის მშობლიურ ქვეყანას, საქართველოს დაეხმაროს ინვესტიციითა და ამ საქმეში ჩართულობით. როგორც ცნობილია, საგანმანათლებლო სფეროს ინტერნაციონალიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მას მხედველობაში აქვს ის დიდი კავშირები, რომელიც მას აქვს თურქეთის უნივერსიტეტებთან და შესაბამის კლინიკებთან, რაც იქნება ძალიან დიდი კავშირი შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტისთვის, რადგან საქართველოს მოსახლეობის/პაციენტების დიდი ნაწილი რთული ვითარებისს დროს თურქეთს მიმართავენ, დაწესებულებას კი შეეძლება ეს ყველაფერი საქართველოში/მათ უნივერსიტეტსა და მის კლინიკებში გადმოიტანონ.
შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის უპირატესობაზე განაცხადა, რომ მათ გამგებლობაში არის ორი მნიშვნელოვანი ცენტრი: ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, ამის საფუძველია ის, რომ უნივერსიტეტის ძირითადი დამფუძნებელი, ზაზა ნიშნიანიძე ამავდროულად არის ზემოაღნიშნული ორივე კლინიკის ძირითადი აქციონერი. მან განაცხადა, რომ სპეციალურად უნივერსიტეტის ავტორიზაციის შემდეგ ბალნეოლოგიური კურორტის ბაზაზე შეიქმნა ხუთსართულიანი შენობა, სპეციალურად უნივერსიტეტისათვის, რაც მონიტორინგის დროსაც აღინიშნა, რომ არის ძალიან კარგად გამართული, დამოუკიდებელი შენობა, რომელიც წაადგება სასწავლო პროცესს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სამართლიანად დაიწუნა ის ბაზა, რომელიც მათ ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში აქვთ, ლაბორატორიისათვის და ამ მოკლე პერიოდში, 3 თვეში დაწესებულებამ ააშენა ორსართულიანი შენობა, შესაბამისი ფართით, სადაც უნდა გახსნილიყო ლაბორატორია, თუმცა დაწესებულებამ გაითვალისწინა ის საჭიროება/ინტერესები, რაც ამ ეტაპზე აქვს ქვეყანას და აღნიშნულ ბაზაზე გაიხსნა COVID-კლინიკა, თუმცა, როდესაც პანდემია დამთავრდება ამ შენობაში დაწესებულება გახსნის ლაბორატორიულ კორპუსს, სადაც იქნება კლინიკური სასწავლო ლაბორატორია, სადაც გამოყოფილი იქნება სპეციალური სივრცეები სტუდენტებისათვის.
აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ირგვლივ გაერთიანდა მაღალი კვალიფიკაციის, გამოცდილების მქონე ახალგაზრდა თაობის მეცნიერებისა და ექიმების ჯგუფი, მათი უმეტესი ნაწილი ზემოაღნიშნული კლინიკების თანამშრომლები არიან, რომლებიც აფილირებულნი არიან მხოლოდ განსახილველ უნივერსიტეტთან, დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ამგვარი სინერგია სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის წარმატების საფუძველი იქნება. მათთვის მისასალმებელია, ის ფაქტი, რომ ლექციას კითხულობს გამოცდილი პედაგოგი და შემდეგ

დახვდება სტუდენტს კლინიკაში, მოხერხებული იქნება სასწავლო პროცესისა და მათი სამეცნიერო მუშაობისათვის.
„დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ შემუშავებულია, როგორც საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, აღნიშნულმა პროგრამამ გაიარა ძლიერი ექსპერტიზა, ორჯერ ჩატარდა ავტორიზაცია, შემდეგ აკრედიტაცია და მონიტორინგი. პროგრამა ყოველთვის იყო წამყვანი და გათვალისწინებულია იმ შენიშვნების/რეკომენდაციის ძირითადი ნაწილი, რაც დაასახელეს ექსპერტებმა, მათ შორის ივანა ობორნამ, ენდი გიბსმა (ინგლისიდან), მილან პოლიმ (სლოვაკეთიდან) და მასთან ერთად ქართველმა ექსპერტებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროცესში.
მისი მოსაზრებით, პროექტი/იდეა თუ პრაქტიკულად არ განხორციელდა, მკვდრად იქნება შობილი. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სამედიცინო პროგრამა ძირითადად მზად არის განხორციელებისათვის, მით უმეტეს, როდესაც აპირებენ მცირე რაოდენობის სტუდენტების მიღებას და საბჭოს წევრების მხარდაჭერის შემთხვევაში დაწესებულება დროულად შეუდგება პროგრამის რეალიზაციას, ასევე საბჭოს უფლება და მოვალეობაა, რომ მონიტორინგი გაუწიოს პროგრამის მიმდინარეობას. მან გააჟღერა დაწესებულების თხოვნა, რომ სათანადო პირობის დათქმით მიენიჭოს აკრედიტაცია პროგრამას.
საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა უნივერსიტეტის რომელიმე წარმომადგენელს ხომ არ სურდა რაიმეს დამატება.
ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა ობორნამ მოითხოვა სიტყვა, იგი დაინტერესდა, თუ სამ თვეში შეიძლებოდა ახალი ლაბორატორიების მშენებლობა, რატომ არ გაიარეს აკრედიტაცია მაშინ, როდესაც ყველაფერს დაამთავრებდნენ. მან აღნიშნა, რომ, როდესაც ნახა დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში და სილაბუსები, იყო გახარებული, თუმცა პრობლემა გამოჩნდა ვიზიტისას, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა რეალობა და მას არ შეუძლია დაიჯეროს, რომ დაწესებულებამ გააკეთა ყველაფერი რაზეც საუბრობენ. მან განაცხადა, რომ საბჭო არის პასუხისმგებელი ქართული სამედიცინო განათლებისთვის კარგი სახელისა და უმაღლესი კვალიფიკაციის დატოვებაზე და მიმართა საბჭოს, რომ ერთი მხრივ გადაწყვეტილება მათი პასუხისმგებლობის საკითხია, მეორე მხრივ კი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ უწევს რეკომენდაციას, აღნიშნული პროგრამის მხარდაჭერას ან თუ ეს პროგრამა დაიწყებს ფუნქციონირებას, უნდა იყოს ახალი ვიზიტის შედეგი, რადგან უნდა შემოწმდეს რეალობა, მზაობა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ავთანდილ გაგნიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ახალ ლაბორატორიულ კორპუსთან დაკავშირებით მან შეახსენა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ვიზიტის დროს ახსენა მიმდინარე გეგმა ამის შესახებ, რომელიც უკვე დასრულებულია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა ობორნამ შეახსენა, რომ OSCE-ს ცენტრი, რომელიც იყო დაგეგმილი და დაინტერესდა არის თუ არა ისიც დასრულებული.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ OSCE-ს ცენტრის შესახებ, აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ, დაწესებულებას ჰქონდა მონიტორინგის ვიზიტი და მათ ნახეს დაწესებულების მზადება და აღნიშნეს, რომ ყველაფერი სწორ გზაზე იდგა.
ექსპერტი, ლანა ბოკუჩავა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დასკვნას არ აქვს მისი ხელმოწერა, რადგან გაცემულ რეკომენდაციებზე ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეთანხმდა, მისი მოსაზრებით ზოგიერთი რეკომენდაცია უნდა გადასულიყო რჩევაში. მისი მხრიდან ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ პროგრამა ჯერ კიდევ არ არის იმპლემენტირებული, ანუ ბევრი ის რეკომენდაცია, რომელიც არის მიცემული, შეიძლება არ იყოს მართებული და ამიტომ აჯობებდა მათი რჩევაში გაწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და მიმართა დაწესებულების მრჩეველთა საბჭოს წევრს, ამირან გამყრელიძეს, ხომ არ სურდა რაიმეს დამატება.
მრჩეველთა საბჭოს წევრმა, ამირან გამყრელიძემ განაცხადა, რომ ვერ მოისმინა განხილვა, რადგან უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდა, თუმცა წაკითხული აქვს დოკუმენტები, რის საფუძველზეც მან დააფიქსირა მოსაზრება ინსტიტუციასთან დაკავშირებით, რომლის ხელმძღვანელები არიან ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ადამიანები უმაღლეს განათლებაში, რომლებსაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აქვთ ნამუშევარი ამ საკითხზე და შექმნილი აქვთ სხვადასხვა, მათ შორის აღდგენილი, კლასიკური სამედიცინო განათლების პირველი კერა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაწესებულება ფლობს რამდენიმე ისეთ მნიშვნელოვან კლინიკას, როგორიცაა ტრადიციული, ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა და კარგად/ახალი სტანდარტების გათვალისწინებით აღდგენილი რეაბილიტაციური კლინიკა, რაც მას აძლევს იმის საფუძველს, რომ აღნიშნულ დაწესებულებას გაუწიოს რეკომენდაცია, რადგან გარდა კლასიკური სამედიცინო განათლებისა, მომავალში ძალიან კარგად შეიძლება აღდგეს/განვითარდეს, რაც ქვეყანას ძალიან სჭირდება, მას მხედველობაში აქვს რეაბილიტაციური მედიცინა, რომლის კადრებიც მწვავე დეფიციტია, ამიტომ თუ მის სიტყვას რაიმე მნიშვნელობა აქვს მხარს უჭერს პროგრამას, გამოცდილებიდან და იმ ადამიანებიდან გამომდინარე, ვისაც დიდი ღვაწლი აქვს ქვეყანაში ძალიან რთულ პერიოდში სამედიცინო განათლების აღდგენაში და დარწმუნებულია ინსტიტუციის შესაძლებლობაში, რომ თავისი სიტყვას იტყვის უმაღლესი კვალიფიკაციის სამედიცინო კადრების მომზადებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია მიესალმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ალბათ იმავე აზრზეა, რაზეც წინა განხილვის დროს იყო, რომელსაც თვითონ არ ესწრებოდა, რადგან იმ პერიოდში არ იყო აკრედიტაციის საბჭოს წევრი. მან გამოთქვა მწუხარება, რომ სხდომას არ ესწრებოდა ნია თაბაგარი, რადგან მისი დიდი ძალისხმევით არის შემუშავებული აღნიშნული პროგრამა. გ.სიმონიამ განაცხადა, რომ თვითონ პროგრამა მისთვის ნაცნობია, რადგანაც თავისი სტრუქტურით ანალოგიურია სკოლის პროგრამის (St. George University, London), რომლის წარმომადგენლები იყვნენ დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის კოორდინატორები ტემპუსის ერთობლივ პროექტში. მან აღნიშნა, რომ ასეთი ტიპის, მაღალი ინტეგრაციის პროგრამა წარმოუდგენელია ნებისმიერ ექსპერტს დაეწუნებინა, რადგან ეს არის აბსოლუტურად აღიარებული დიდ ბრიტანეთში, რომელიც არის ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიოში სამედიცინო განათლების მიმართულებით. ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთი არის ლიდერი საერთაშრისო სამედიცინო განათლების ინოვაციების მხრივ.
პრობლემა არის ის, რომ პროგრამა გულისხმობს მაღალი დონის ინტეგრაციას, ჰარდენის სკალის მიხედვით, სულ არსებობს ინტეგრაციის 11 დონე და ეს არის დაახლოებით მე-9 ან მე-10 დონის პროგრამა, ანუ საკმაოდ მაღალი დონის და საქართველოში ბევრ ტრადიციულ უნივერსიტეტსაც კი გაუჭირდება ასეთი პროგრამის იმპლემენტაცია. მან აღნიშნა, რომ არის კარგად შემუშავებული პროგრამა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის გწარმატებული განხორციელებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ კარგი პროგრამა. არამედ სათანადოდ მომზადებული აკადემიური პერსონალი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მისი მოსაზრებით, შესაძლებელია სწორედ ამიტომ მიიღო წინა სხდომაზე საბჭომ უარყოფითი გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ბევრი რამე გამოსწორებულია, რეგულაციებით რამდენად შესაძლებელია, რომ საბჭომ მხედველობაში მიიღოს ვიზიტის შემდეგ მომხდარი სიახლეები, მისთვის უცნობია, რადგან სპეციალური რეგულაციების ქუდის ქვეშ ხვდება.

მისი თქმით, პროგრამას სჭირდება დრო, დიდი ბრიტანეთის ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტს დასჭირდა 10-დან 15 წლამდე, რომ ამ დონის პროგრამამდე მისულიყო, სადაც მოიაზრებოდა პერსონალის ტრენინგი, მეთოდოლოგიის დანერგვა და ა.შ. საბჭოს წევრმა ურჩია დაწესებულებას, რომ შედარებით გაემარტივებინათ ასეთი პროგრამა და შესაბამისობაში მოეყვანათ ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურა. მან აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებელი და სტანდარტები სულაც არ მოითხოვს მედიცინის პროგრამების მაღალი დონის ინტეგრაციას და არცერთ ექსპერტი არ ჩათვლს ამას პროგრამის ნაკლად. შეიძლებოდა პროგრამის შემუშავება ცოტა უფრო დაბალი ინტეგრაციის დონით (მე-7 ან მე-8) და შესაბამისად ნაკლები ხარვეზი იქნებოდა, რაც დაინახა ექსპერტთა ჯგუფმა. მისი თქმით, წარდგენილი პროგრამა მოითხოვს არა მხოლოდ ცალკეულ საგანზე დაფუძნებულ OSCE-სა და 12 სადგურს, არამედ ინტეგრირებულ OSCE-ს, რომლის ჩატარებასაც სჭირდება შესაბამისი აღჭურვილობა (სიმულატორები, სპეციალურად შედგენილი დავალებები და სხვ). ამის საჭიროებას განაპირობებს ინტეგრაციის ხარისხი, რაც დასტურდება პროგრამის ისეთი ბლოკებით, როგორებიცაა „სიცოცხლის ციკლი“, „სიცოცხლის სტრუქტურა“ და ა.შ. მაღალი დონის ინტეგრაცია გულისხმობს თითოეული ციკლი შესაბამის ინტეგრირებულ შეფასებას; ამ შემთხვევაში უნდა დაინერგოს შესაბამისი მეთოდოლოგია და ჩატარდეს აკადემიური პერსონალის გადამზადება, რასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ახლა აპირებს სწავლების და სწავლის ასეთი მეთოდოლოგიის საკითხებზე ტრენინგების ჩატარებას. ტრენინგები კი აკადემიური განვითარების ცენტრში 2011 წლიდან ტარდება.

მან აღნიშნა, რომ არ სურს ჩრდილი მიაყენოს დაწესებულების განზრახვას, ძალიან კარგია, რომ დაწესებულებამ ასეთი მაღალი თამასა აიღო, თუმცა ის პერიპეტიები, რაზეც დისკუსია გაიმართა გამომდინარეობს იქიდან, რომ შეიქმნა შეუსაბამობები, ნებისმიერი ექსპერტი ძალიან მოიწონებს პროგრამას, მაგრამ ის, რაც არის მითითებული შეუძლებელია მიღწეული იყოს არსებული ინფრასტრუქტურით და ადამიანური რესურსებით.

მან განაცხადა, რომ ძალიან ორიგინალურია დაწესებულების მიერ წარდგენილი შეფასების ფორმულა, თუმცა აქ არის პრობლემა, რაშიც არა დაწესებულების, არამედ პროგრამის შემდგენლების უზუსტობაა; როდესაც ფორმულაში არის დათქმა, რომ 50+ უნდა იყოს და საერთოდ საშუალო შეფასებად თვლიან 50 +, ამასთანავე საუბარია OSCE-ზე შეფასება აბსოლუტურად განსხვავებულია, იქ არის ე.წ. „killing stations“, („ჩამჭრელი“ სადგურები), რომმელთა თამასა არის 90 ქულაზე მეტი, ხოლო 50 ქულაზე გამოცდა მთლიანად ნულდება; ამ გარემოების გათვალისწინება აუცილებელია ასეთი ფორმულით გამოთვლის დროს.

მესამე პრობლემა არის პორტფოლიო, ე.წ. „Log book“. მისი თქმით, პორტფოლიო არის პროფესიონალიზმის შეფასების ერთ-ერთი და არა ერთადერთი ინსტრუმენტი, სტანდარტის მე-13 კომპეტენცია, რომელიც მოიაზრებს არა მხოლოდ ლოგბუქის/დღიურის შევსებას, არამედ სტუდენტის მთელ რიგ სხვა აქტივობებსაც. მან კიდევ ერთხელ გამოხატა სურვილი, რომ ნია თაბაგარი დასწრებოდა სხდომას, მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდა ნინო ჩიხლაძე, რომელთან ერთადაც მუშაობდა სტანდარტებზე (მუშაობის პროცესში იყო ჩართული ნია თაბაგარიც). მან განმარტა, რომ პორტფოლიო არ არის, მხოლოდ რამდენი ავადმყოფი ნახა სტუდენტმა და ა.შ. „ლოგბუქის“ შევსება, პროფესიონალიზმის შეფასების ბევრი კომპონენტია და ცხადია კომპეტენციაზე მხოლოდ „ლოგბუქით“ გასვლა შეუძლებელია.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამას სჭირდება წლები პერსონალის მოსამზადებლად და სადღეისოდ საქართველოს მედიცინის სკოლებშ ჯერ არ არის ასეთიპროგრამების განხორციელების შესაძლებლობა პროგრამის დაწყების პირველივე წლიდან. . არ შეიძლება სახურავიდან დაიწყოს შენობის აგება მშენებლობა და შუა ნაწილი გამოტოვოს.

საბჭოს წევრი, ეკა ეკალაძე მიესალმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ აქტიურად იყო ჩართული წინა საბჭოზეც და ფაქტობრივად, ყველა ის დეტალი, რაზეც სხდომაზე ყურადღება გამახვილდა წინა სხდომაზეც დეტალურად იყო განხილული, მაგ., რაზეც საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ ისაუბრა ინტეგრაციით დაწყებული „ლოგბუქითა“

და პროფესიონალიზმის შეფასებით დამთავრებული, საბჭოს წევრების განხილვა და ნია თაბაგარის პასუხები წინა სხდომის ოქმშია დაფიქსირებული, იყო ზუსტად იგივე შეფასება, რომ ინტეგრაცია არის მაღალი ხარისხის და ასეთი ინტეგრაციის განხორციელებას სჭირდება დიდი მომზადება. იგი აბსოლუტურად დაეთანხმა საბჭოს წევრს, გაიანე სიმონიას, რომ ვინაიდან ჩართულები არიან ტრენინგებში, რომელიც საშუალებას აძლევთ ფეხდაფეხ აყვნენ თანამედროვე სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიას, უკვე ძალიან დიდი ხანია მუშაობენ თანამედროვე მეთოდებზე, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაში დევს, მაგრამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს რამდენიმე წელი დასჭირდა და მისი მოსაზრებით, ალბათ კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება მათი სრულად განხორციელებისათვის, სწორედ ეს შეუსაბამობა პროგრამასა და განხორციელებას შორის ედო საფუძვლად ექსპერტების დასკვნასაც, მისი ასეთი შთაბეჭდილება გამოწვეულია არა მარტო წაკითხვიდან, არამედ ორ სხდომაზე განხილვიდანაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს მოსაზრების დაფიქსირებისთვის და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ავთანდილ გაგნიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს კარგად ესმით, რომ მათ აიღეს ძალიან მაღალი დონე და უფრო მოკრძალებით, რომ დაეწყოთ უფრო მარტივი იქნებოდა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, დაწესებულებაში მაქსიმალისტები არიან და ამით დაიწყეს.

მან აღნიშნა, რომ თუ დაწესებულებას არ მიეცემა დაწყების საშუალება, ვერც ვერასდროს გააკეთებენ, მით უმეტეს გაითვალისწინეს რეკომენდაციები, დაწესებულება პირველ ეტაპზე აპირებს 50 სტუდენტის მიღებას, რათა ეს ყველაფერი კარგად დაიტესტოს და თანდათან განვითარდნენ. ასევე, მათთვის გასაგებია, რომ მათ თანამშრომლებს სჭირდებათ ტრენინგი. დაწესებულება ეთანხმება, მაგრამ ისევე, როგორც დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტმა ჩაატარა ტრენინგები, დაწესებულება აპირებს, რომ ერთად იმუშავონ და აქედან გამომდინარე, თუ დაიწყებენ მცირე რაოდენობის სტუდენტებით საბჭოს ყოველ წელს აქვს საშუალება, რომ მონიტორინგი დანიშნოს და ნახოს როგორ აკეთებს დაწესებულება საქმეს.

დაწესებულების წარმომადგენლებს ესმით, რომ ინტეგრაცია მე-9 მე-10 დონეზე გადის, მაგრამ მათი მოსაზრებით, პირველ ეტაპზე არ არის რთული, შემდეგ ეტაპზე უფრო რთულია, თუმცა თუ დაწესებულებას არ მიეცა პირველ ეტაპზე დაწყების საშუალება ძალიან რთულია იმის თქმა, როგორ გააგრძელებენ შემდეგ, ესმით რომ ძალიან დიდი რაღაც მოინდომეს და სჯობდა უფრო მარტივით დაეწყოთ, მაგრამ მან სთხოვა საბჭოს წევრებს დაწესებულებისთვის მიეცათ უფლება განეხორციელებინა პროგრამა, რადგან ისინი ან განახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას, ან წაიმტვრევენ ცხვირს, რაც დაწესებულების წარმომადგენლების ბრალი იქნება.

საბჭოს თავმჯომარემ იკითხა ვინმეს ხომ არ სურდა რაიმეს დამატება. მან აღნიშნა, რომ ორივე სხდომაზეც ბევრი ისაუბრეს პროგრამასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ საბჭო არ არის უფლებამოსილი დამატებით გამოიკვლიოს ის გარემოებები, რომელიც უნივერსიტეტმა სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის შემდეგ გამოასწორა, ხარვეზი, შენიშვნა და ა.შ., რომელიც იყო გაცემული, საბჭოს არ აქვს ასეთი იურიდიული შესაძლებლობა და უფლებამოსილება, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭო თვითონ აკრედიტაციისა და აპელაციის პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში, ფორმალური თვალსაზრისით საბუთების დამატება, იმ არგუმენტაციაზე მითითება, რომ უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის შემდეგ გამოსწორებულია საბჭოსთვის ვერ იქნება მისაღები, როგორც იურიდიული ფაქტორი, რადგან მათ ამაზე დაყრდნობის უფლებამოსილება არ გააჩნია. ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენლებს ამის აღნიშვნა არ ეკრძალებათ, შესაძლებელია გავლენა მოახდინოს საბჭოს წევრების შინაგან რწმენაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ავთანდილ გაგნიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს. მან განაცხადა, რომ როდესაც რეკომენდაციებზე ლაპარაკობდნენ, თავის დროზე ეს რეკომენდაციები ისედაც იყო გათვალისწინებული და შემდეგ მოხდა რაღაცების დამატება.
კანცლერი, თემურ ხუროძე დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, მან განაცხადა, რომ საბჭოს თავმჯდომარე მაღალი კვალიფიკაციის იურისტია და მისთვის გასაგებია, რომ იმ პერიოდით უნდა შეფასდეს, როდესაც ტარდებოდა აკრედიტაცია, თუმცა დაწესებულებას რაც მაშინ ჰქონდა გაკეთებული მისი მოსაზრებით, გარკვეული დათქმით შეიძლებოდა ნდობა გამოცხადებულიყო პროგრამის მიმართ. ახლა მით უმეტეს, რაც შემდეგ გააკეთეს, იგივე ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობა, აკადემიური პერსონალის დამატება და სხვა, ეს ყველაფერი განხორციელდა და 4 თვეში რა თქმა უნდა წინ წავიდნენ, ამიტომ დასაძრახი არ უნდა იყოს, თუ საბჭო გაითვალისწინებს.
შესაძლებელია საბჭოს წევრებმა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც წაადგება საქმეს, რადგან ამის შემდეგ დაწესებულებას შეეძლება თავიდან შეიტანოს სააკრედიტაციო განაცხადი, რასაც დასჭირდება თვეები.
მან განაცხადა, რომ 2017 წელს შეიქმნა კომპანია, რომელმაც დაარსა უნივერსიტეტი, 4 წელი გავიდა, რაც დაწესებულება ძალიან დიდი პასუხისმგებლობით უდგება ამ საქმეს და არასდროს გადაუდგამს აჩქარებული და გაუაზრებელი ნაბიჯი. ახალი პროგრამა შემოიტანეს, რადგან სურდათ განსხვავებული ყოფილიყო, დაწესებულება ბაზარზე შემოვიდა მაშინ, როდესაც 17-18 პროგრამა უკვე არსებობს საქართველოში და ამიტომ აიღეს ახალი, მძიმე ტვირთი.
მან განაცხადა, რომ თუ საბჭო მხარს დაუჭერს პროგრამას ძალიან კარგი იქნება, თუ არა, დაწესებულებას მოუწევს ლოდინი, მისი თქმით, მე-3 ან მე-4 წელია, რაც მიდის ეს ამბავი და საქმის დაწყებიდან 4 წელი არის ძალიან რთული პერიოდი, მით უმეტეს, რომ დაწესებულებაში არ არის ის ხალხი, ვინც "მატყლს ჩეჩავდა", თუმცა მისი მოსაზრებით, ესეც უნდა აკეთოს კაცმა, ისინი ამ საქმეს ემსახურებდნენ.
მან განაცხადა, რომ თუ საბჭო არ დაუჭერს მხარს პროგრამას, დაწესებულებას ისევ მოუწევს საბჭოს წინაშე წარდგენა, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ უნდა გააკეთონ ეს საქმე, რადგან მათ კლინიკებს სჭირდება კადრები და დაწესებულების წარმომადგენლებს სურთ, რომ მათ და სახელმწიფოს გაუზარდონ კვალიფიციური კადრები, ასევე საერთაშორისო დონეზეც იყვნენ წარმოჩენილნი და საგანმანათლებლო სამედიცინო სივრცეს შესძინონ მეტი რეიტინგი, რაც ყველა უნივერსიტეტისთვის (რომელსაც სამედიცინო პროგრამა აქვს) კარგი იქნება, ამიტომ სურთ დროულად დაიწყონ საქმე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:19
დასრულების დრო: 19:36

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი.

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი უთხრა შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭოს სხდომა დასრულდა 19:39 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა